პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 24 ივლისი, 1947 წ. № 147 (7931). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გაწვევა შრომითი რეზერვების სკოლებსა და სასწავლებლებში—მოწინავე (1-ლი გვერდი).

ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა ალბანეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად (1-ლი გვერდი).

საინფორმაციო ცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 23 ივლისის სხდომების შესახებ (1-ლი გვერდი).

ფიზკულტურელების საკავშირო პარადის მონაწილეთა მიღება კრემლში (მე-2 გვერდი).

იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების შესახებ (მე-2 გვერდი).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება. საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ კ. გ. ჭიჭინაძის **თანამოხსენება** (მე-3 და მე-4 გვერდი).

კამათი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო. დეპუტატ ვ. დ. კუპრაძის სიტყვა (მე-4 გვერდი).

გაწვევა შრომითი რეზერვების სკოლებსა და სასწავლებლებში

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მზარდი მრეწველობა, ტრანსპორტი და ახალმშენებლობანი ყოველწლიურად დიდძალ მაღალკვალიფიციურ მუშახელს მოითხოვენ. ჩვენ გვაქვს პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილი ფაბრიკები და ქარხნები, შახტები და მაღაროები. მაგრამ როგორც ხალხთა ბელადი დიდი სტალინი გვასწავლის: „შეიძლება გქონდეს პირველხარისხოვანი ტექნიკა, პირველხარისხოვანი ფაბრიკები და ქარხნები, მაგრამ თუ არ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ეს ტექნიკა დაიმორჩილონ, ტექნიკა ცარიელ ტექნიკად დაგრჩება. ახალმა ტექნიკამ რომ თავისი შედეგები მოგვცეს, უნდა გვყავდეს ისეთი ადამიანები, მუშათა ისეთი კადრები, რომელთაც შეეძლებათ სათავეში ჩაუდგნენ ტექნიკას და წინ წასწიონ იგი“. ასეთი კვალიფიციური კადრების აღზრდის მძლავრი სამჭედლოა დიდი სტალინის ინიციატივით შექმნილი საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლები, რომლებიც ახალი ხუთწლედის მანძილზე 4.500 ათას ახალგაზრდა მუშას გამოუშვებენ. მარტო მიმდინარე წელს სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტროს საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლები 750 ათას კვალიფიციურ მუშას მისცემენ სახალხო მეურნეობას. ახალგაზრდა მუშათა ეს დიდი რაზმი შეემატება ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს და მასთან ერთად ენერგიულად იბრძოლებს მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმით დასახული გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების სამმართველოს გამგებლობაში არსებულ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში ყოველწლიურად კვალიფიკაციას ეუფლება ათასობით ახალგაზრდა მუშა, რომელთა უდიდესი უმრავლესობა წარმატებით განაგრძობს მუშაობას რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, ტრანსპორტსა და ახალმშენებლობებზე. მიმდინარე წლის მარტში რესპუბლიკის საფაბრიკო-საქარხნო სკოლებმა 1.150 კვალიფიციური მუშა გადასცეს ქვანახშირის, სამთო და საფეიქრო მრეწველობას. ივლისში ჩვენი მრეწველობა აღნიშნული სკოლებიდან კვლავ მიიღებს 1.350 კაცს. რესპუბლიკის სახელოსნო სასწავლებლები წელს 2.080 კვალიფიციურ მუშას გამოუშვებენ.

15 ივლისიდან დაიწყო მორიგი გაწვევა სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში, რაც 25 აგვისტომდე უნდა დამთავრდეს. საქართველოში არსებული სახელოსნო სასწავლებლები წელს 3 ათასზე მეტ კაცს მიიღებენ. ახალი სახელოსნო სასწავლებლები იხსნება თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანასთან, აგრეთვე ქლუხორში — სწავლების სამწლიანი კურსით. სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლები ამზადებენ მაღალკვალიფიციურ მეღითონეებს, მეტალურგებს, მანქანათმშენებლებს, დაზგათმშენებლებს, რკინიგზელთა, მექავშირეთა და ფეიქართა კადრებს, რაც ასე საჭიროა ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის.

შრომითი რეზერვების სკოლებსა და სასწავლებლებს დიდი პოპულარობა აქვთ მოპოვებული საბჭოთა ახალგაზრდობაში. ყოველწლიურად მრავალ ახალგაზრდას გამწვევ კომისიებში შეაქვს განცხადება ამ სკოლებსა და სასწავლებლებში მათი ჩარიცხვის შესახებ. წელსაც, ჯერ კიდევ გაწვევის დაწყებამდე თბილისის, ბათუმის, ქუთაისის ასობით ახალგაზრდამ ითხოვა შრომითი რეზერვების სკოლებში და სასწავლებლებში მიღება. ეს ლტოლვა რომ გაძლიერდეს და გაწვევა წარმატებით ჩატარდეს უპირველეს ყოვლისა აუცილებელია გაძლიერდეს მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაწვევის გარშემო. თვითეულ ახალგაზრდას უნდა განვუმარტოთ, თუ რა აუცილებელია ახალი კადრების მომზადება ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოსათვის, რა სარგებლობას მისცემს მას საფაბრიკო-საქარხნო სკოლის, სახელოსნო სასწავლებლის დამთავრება, კვალიფიკაციის დაუფლება. ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი ეკისრებათ კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც მოწოდებული არიან სისტემატურად გასწიონ ასეთი პროპაგანდა. დიდია გამწვევი კომისიების მუშაობის მნიშვნელობაც.

ფრიად მნიშვნელოვანია იმ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელების მოვალეობა, რომელთა წარმოების ბაზაზე სახელოსნო სასწავლებლები არსებობენ. გადაუდებელი ამოცანაა სასწავლებლების შენობათა დროულად შეკეთება, მათი შევსება ავეჯითა და ინვენტარით, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლების მომზადება, ნორმალური მეცადინეობისათვის ყველა აუცილებელი პირობის შექმნა. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა უზრუნველყოფას სახელმძღვანელოებით, სასწავლო პროგრამებით, სამუშაო იარაღებით, საჭირო დაზგა-დანადგარებით, სასწავლებლების დაკომპლექტებას გამოცდილი, მაღალკვალიფიციური პედაგოგებითა და ოსტატებით.

სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში გაწვევის დამთავრების შემდეგ დაიწყება ახალგაზრდობის გაწვევა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში. საქართველოში დღემდე არსებულ 21 საფაბრიკო-საქარხნო სკოლას წელს ახალი სკოლები შეემატება ქუთაისის საავტომობილო და რუსთავის მეტალურგიულ ქარხნებთან, ტყიბულის შახტებთან, მარმარილოს ქარხანასთან და სხვა. საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში მორიგი გაწვევის პერიოდში 5.600 ახალგაზრდა ჩაირიცხება.

სახელოსნო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში ჩარიცხული ახალგაზრდობის საერთო საგანმანათლებლო და სპეციალურ მომზადებასთან ერთად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. სახელოსნო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში უნდა აღვზარდოთ წარმოების სპეციალისტები, ლენინ-სტალინის პარტიის საქმის უღრესად ერთგული, კომუნიზმის მშენებლობისათვის თავდადებული ადამიანები.

ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტისა და ახალმშენებლობებისათვის კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ შრომითი რეზერვების სასწავლებლებსა და სკოლებში ახალგაზრდობის მორიგ გაწვევას, სკოლებისა და სასწავლებლების დროულად მომზადებას ახალი ნაკადის მისაღებად, ყველა პირობა შეუქმნან გაწვეულ ახალგაზრდობას ნორმალური მეცადინეობისათვის.

გახსოვდეს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის კვალიფიციური მუშათა კადრებით უზრუნველყოფა სტალინური ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა ალბანეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

23 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა კრემლში ალბანეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ენვერ ხოჯა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი კოჩი ძოძე, იუსტიციის მინისტრი ბ-ნი მანოლ კონომი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ-ნი ხიუსნი კაპო, ალბანეთის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი მიხალ პრიფტი, განათლების მინისტრის მოადგილე ბ-ნი ფადილ პაჩრამი, საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი კიჩო მრელი და სხვები.

საბჭოთა მხრივ სადილზე იყვნენ ვ. მ. მოლოტოვი, ლ. პ. ბერია, ა. ა. ჟდანოვი, ა. ი. მიქოიანი, კ. ე. ვოროშილოვი, გ. მ. მალენკოვი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. ვიშინსკი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, დესპანი ალბანეთში დ. ს. ჩუვახინი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. თ. კემიჩასტნოვი, გენერალ-მაიორი ი. მ. სარაევი, ა. ა. ლავრიშჩევი, თ. თ. მოლოჩკოვი, ბ. თ. პოდცეროზი და სხვები.

სადილმა გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

შრომითი რეზერვების ახალი ტექნიკუმები

სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტრო წელს ხსნის ხუთ ახალ ინდუსტრიალურ ტექნიკუმს სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში საწარმოო სწავლების ოსტატთა მოსამზადებლად. ტექნიკუმები გაიხსნება მინსკში, ყაზანში, ნოვოსიბირსკში, კემეროვოსა და სვერდლოვსკში. აღნიშნული ტექნიკუმები მოამზადებენ ლითონის ცივად დამუშავების, დაზგების მოწყობილობათა რემონტისა და მონტაჟის სპეციალისტებს. გარდა ამისა, მინსკის ტექნიკუმს ექნება სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალისტთა მოსამზადებელი განყოფილება, ხოლო კემეროვოს ტექნიკუმს — სამთო საქმის სპეციალისტთა მოსამზადებელი განყოფილება.

ტექნიკუმები პირველ რიგში მიიღებენ იმათ, ვინც წარჩინებით დაამთავრა სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლები.

რიგის 125 საწარმომ 8 თვის გეგმა შეასრულა

რიგა, 22 ივლისი. (საკდესი). ლატვიის დედაქალაქის 125 საწარმომ 8 თვის გეგმა შეასრულა. მათ შორის არიან რესპუბლიკის უდიდესი საწარმოები ელექტროტექნიკური ქარხანა, შუშეულის ქარხანა „სარკანდაუგავა“ და სხვები.

კომბაინები „სტალინელი—6“

დონის როსტოვი, 18 ივლისი. (საკდესი). ქარხანა „როსტსელმაში“ აძლიერებს ახალი კომბაინების გამოშვების ტემპს.

ომის შემდეგ „როსტსელმაშის“ მარკის კომბაინები უკრაინის, კრასნოდარის მხარის, როსტოვის, სტალინგრადის და სხვა ოლქების მინდვრებში უკვე მუშაობდნენ მოსავლის აღებაზე. ახალი მანქანების თვისებებს მაღალ შეფასებას აძლევენ მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის „გიგანტის“ და დონის მტს-ების მექანიკოსები და კომბაინერები.

გუშინ ქარხნის სატვირთავი მოედნიდან გავიდა კომბაინებით დატვირთული ეშელონები, რომლებიც განკუთვნილია ალტაისათვის.



ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე 1947 წლის 20 ივლისს. სურათზე: ი. ბ. სტალინი და ბავშვები, რომლებმაც ყვავილები მიართვეს ბელადს მოსკოვის მოსწავლეთა სახელით.

ფოტო ვ. კოვრიგინისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 23 ივლისის სხდომების შესახებ

23 ივლისს, დილის 11 საათზე, თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიულ თეატრში შესდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ბ. გოგუა.

დღის წესრიგშია—განხილვა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ რ. ა. კვირკველიას მოხსენებისა საქართველოს სსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი ვ. დ. კუპრაძე (ჩოხატაურის რაიონი, ხიდისთავის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი მ. ი. კუჭავა (სოხუმის რაიონი, შრომის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ა. მ. როგავა (ზუგდიდის რაიონი, ნარაზენის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ფ. დ. დუმბაძე (ქედის რაიონი, ქედის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი რ. ა. ავეტისოვი (ახალქალაქის რაიონი, ბარალეთის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ვ. ა. პაატაშვილი (გურჯაანის რაიონი, ბაკურციხის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ა. ხ. ცხოვრებოვი (ჯავის რაიონი, კიროვის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ი. ნ. ლალიძე (ვანის რაიონი, ქვედა ვანის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ნ. ი. კიკაჩეიშვილი (ქალაქ ქუთაისის ბერიას საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ვ. მ. მაზიაშვილი (სიღნაღის რაიონი, მაღაროს საარჩევნო ოლქი), დეპუტატი კ. დ. ერისთავი (სტალინირის რაიონი, ქსუისის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ნ. ნ. კეცხოველი (გორის რაიონი, ტყვიავის საარჩევნო ოლქი).

ამით დაიხურა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა.

• • •

23 ივლისს, საღამოს 8 საათზე, თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიულ თეატრში შესდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ბ. გოგუა.

დღის წესრიგშია—განხილვა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ რ. ა. კვირკველიას მოხსენებისა საქართველოს სსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი გ. ა. გოჩაშვილი (ქალაქ თბილისის ბარათაშვილის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ნ. ა. გიორგაძე (ჩოხატაურის რაიონი, ჩოხატაურის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ს. ე. არობელიძე (სამტრედიის რაიონი, ჯიხაიშის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ი. ო. მოსაშვილი (კასპის რაიონი, ყანდაურის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ვ. გ. ნაჭყებია (საჩხერის რაიონი, კორბოულის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ს. მ. ჭელიძე (ცაგერის რაიონი, ალპანის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ვ. მ. გრძელაშვილი (საგარეჯოს რაიონი, საგარეჯოს საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ბ. ს. ბუკია (ქალაქ ქუთაისის კიროვის საარჩევნო ოლქი).

ამით დაიხურა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სხდომა.

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

ბაქო, 23 ივლისი. (საკდესი). აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა 28 ივლისს მოიწვიოს ქალაქ ბაქოში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

მოსავლის აღება და ლეწვა კოლმეურნეობებში

დღითი დღე ფართოვდება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების სამუშაოთა ფრონტი. საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობებით, 20 ივლისისათვის მოსავალი აღებული იყო 186.984 ჰექტარზე. გეგმა შესრულებულია 54,1 პროცენტით. შარშან ამ რიცხვისათვის აღებული იყო 113.049 ჰექტარი, გეგმის 32,1 პროცენტი.

პურეულის აღება უკვე დაამთავრეს ქუთაისის, წყალტუბოს, სამტრედიის, ვანის, ზესტაფონის, ჩხარის, ყვარლის, ლაგოდეხისა და გარდაბნის რაიონებმა.

აჭარის ასს რესპუბლიკას თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების გეგმა შესრულებული აქვს 20,9 პროცენტით, წულუკიძის რაიონს —85, მაიაკოვსკის—90,5, ჭიათურის—63,9, საჩხერის—36,7, ორჯონიკიძის—87,6, ონის—7,1, ამბროლაურის—54,1, ცაგერის—70,6, ქლუხორის—7,6, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს — 29,4, ახალციხის რაიონს—67,0, ადიგენის—23,2, ასპინძის—22,3, ხაშურის —84,5, ქარელის—72,0, გორის — 60,8, კასპის—92,6, ბორჯომის—13,7, დუშეთის—36,5, თეთრი წყაროს—52,5, გურჯაანის—92,5, კაჭრეთის — 84,0, სიღნაღის—80,6, წითელწყაროს—75,5, თელავის—86,7, ახმეტის—81,5, თბილისის—74,8, მცხეთის—88,5, მარნეულის—77,5, ბოლნისის—88,0, საგარეჯოს—61,8, დმანისის რაიონს—5,1 პროცენტით.

კომბაინებით პურეული აღებულია 62.916 ჰექტარზე, გეგმა შესრულებულია 69,9 პროცენტით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კომბაინებით მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 24,8 პროცენტით, ხაშურის რაიონში—52,5 პროცენტით, ქარელის—48,2, გორის—29,6, კასპის —38,6, თეთრი წყაროს—100,2, გურჯაანის—63,8, კაჭრეთის—84,8, სიღნაღის—64,2, წითელწყაროს—77,9, თელავის—93,2, ახმეტის—84,1, ყვარლის —83,0, ლაგოდეხის—55,9, თბილისის —69,5, მცხეთის—88,5, გარდაბნის — 91,2, მარნეულის—81,9, ბოლნისის — 102,6, საგარეჯოს—57,3, დმანისის რაიონში კი—4,4 პროცენტით.

სულ კომბაინებითა და სალეწი მანქანებით გალეწილია 87.117 ჰექტარის მოსავალი.

ქუთაისის რაიონში გალეწილია 408 ჰექტარის მოსავალი, სამტრედიის — 704, წულუკიძის—450, ვანის—180, ზესტაფონის—466, ჭიათურის—22, საჩხერის—116, ორჯონიკიძის—680, ამბროლაურის—452, ცაგერის—151, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 2.541, ახალციხის რაიონში—146, ასპინძის—70, ხაშურის—2.260, ქარელის —3.962, გორის—2.365, კასპის—1.789, ბორჯომის—101, დუშეთის — 1.315, თეთრი წყაროს—4.020, გურჯაანის — 1.231, კაჭრეთის—4.067, სიღნაღის — 11.426, წითელწყაროს—13.128, თელავის—1.827, ახმეტის—1.857, ყვარლის—5. 277, ლაგოდეხის—2.512, თბილისის—4.053, მცხეთის—2.470, გარდაბნის—1.399, მარნეულის — 7.536, ბოლნისის—3.480, საგარეჯოს—4.552, ხოლო დმანისის რაიონში 111 ჰექტარის მოსავალი.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 20 ივლისისათვის სეზონის დაწყებიდან მოკრეფილი იყო 19.123,5 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. აქედან ივლისში მოიკრიფა და ფაბრიკებს ჩაბარდათ 4.086,2 ტონა ჩაის ფოთოლი. კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია 63,7 პროცენტით, ივლისისა—55,2 პროცენტით.

ბათუმის რაიონმა ჩაის კრეფის წლიური გეგმა შეასრულა 60,5 პროცენტით, ქობულეთის—60.0, გალის — 66,9, სოხუმის—103,0, ოჩამჩირის — 66,9, გულრიფშის—58,0, გუდაუთის—73,1, მახარაძის — 62,1, ჩოხატაურის—58,4, ლანჩხუთის—72,8, სამტრედიის—55,5, წულუკიძის — 69.0. ქუთაისის—79,7, წყალტუბოს — 82,0, ტყიბულის—75,9, ცხაკაიას — 59,5, აბაშის — 67,8, გეგეჭკორის—75,4, ზუგდიდის — 59,3, წალენჯიხის — 71,3, ჩხოროწყუს—61,9, ხობის — 48,4, ჩხარის — 46,6, ზესტაფონის რაიონმა — 63,0 პროცენტით,

ჩაის კრეფის ივლისის გეგმა ბათუმის რაიონმა შეასრულა—64,2 პროცენტით, ქობულეთის—63,5, გალის — 45,6, ოჩამჩირის—53,7, გულრიფშის — 22,2, სოხუმის — 59.3, გუდაუთის — 41,5, მახარაძის—57,9, ჩოხატაურის — 53,8, ლანჩხუთის—69.6, სამტრედიის—45,7, წულუკიძის — 58,4, ქუთაისის — 61,6, წყალტუბოს—53,8, ტყიბულის— 65,2, ცხაკაიას—42,9, აბაშის—58,5, გეგეჭკორის—81,5, ზუგდიდის — 36,1, წალენჯიხის—51,9, ჩხოროწყუს—59,5, ხობის—12,3, ჩხარის—22,3, ზესტაფონის რაიონმა კი 37,5 პროცენტით.

მახარაძისა და ხობის რაიონების ცნობები არასრულია.

საქართველოს [illegible]

ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

22 ივლისს, სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში მოაწყო ფიზკულტურელების საკავშირო პარადის მონაწილეთა მიღება. მიღებას დაესწრნენ მინისტრები, სსრ კავშირისა და რსფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სოციალისტური შრომის გმირები, საბჭოთა კავშირის გმირები, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მარშლები, ადმირალები, გენერლები და ოფიცრები, მოკავშირე რესპუბლიკათა სასპორტო დელეგაციების ხელმძღვანელები და წევრები, მრეწველობის გამოჩენილი მუშაკები, მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის მოღვაწეები.

ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი გახდა საბჭოთა ახალგაზრდობის პატრიოტიზმის, ლენინ-სტალინის პარტიისადმი მისი უსაზღვრო ერთგულების მძლავრი დემონსტრაცია, ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი სამშობლოს ვაჟთა და ქალიშვილთა სასპორტო მიღწევების დამაჯერებელი დადასტურება. ათიათასობით ადამიანი აღფრთოვანებით უყურებდა 16 მოკავშირე რესპუბლიკის სასპორტო დელეგაციების გამოსვლებს, რომლებმაც გვიჩვენეს ფიზიკური კულტურის ნამდვილად მასობრივი მასშტაბი, ჩვენი ახალგაზრდობის მაღალი ოსტატობა და წრთობა, რომელიც მზად არის შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის.

მხოლოდ ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში მიიღო ახალგაზრდობამ შეუზღუდავი შესაძლებლობა იმუშაოს და შექმნას, განავითაროს თავისი უნარი და ნიჭი. ფიზიკური კულტურა, რომლის განვითარებაზეც განუწყვეტლივ ზრუნავენ პარტია და მთავრობა, ახალგაზრდა ადამიანების — კომუნისტური საზოგადოების მომავალ შემოქმედთა აღზრდის ორგანული, შემადგენელი ნაწილი გახდა.

22 ივლისს საღამოს 8 საათისათვის კრემლში შეიკრიბნენ დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონზე შემდგარი პარადის ხელმძღვანელები და მონაწილეები.

კრემლის სასახლის დარბაზებში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა სპორტის ოსტატებს — ახალგაზრდებსა და „მოხუცებს“, რომლებიც მთელ ხალხთან ერთად ომობდნენ და შრომობდნენ დიდი სამამულო ომის წლებში, ახლა კი თავდადებულად მუშაობენ ქარხნებში, შახტებში, თევზის სარეწებზე, სამეცნიერო ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, რომლებიც იბრძვიან სტალინური ხუთწლედის დიადი პროგრამის შესრულებისათვის.

როცა „დინამოს“ სტადიონის მწვანე მოედანზე გამოდიოდნენ რსფსრ რესპუბლიკის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლატვიისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენები, შეიძლებოდა დაგვენახა, თუ რა გასაოცარ სასპორტო წარმატებებს მიაღწიეს მეტალურგებმა, ტყის მჭრელებმა, მეთევზეებმა, მეშახტეებმა, მანქანათმშენებლებმა, ჩაის მკრეფავებმა და ფეიქრებმა — მრავალი ფიზკულტურული წრისა და საზოგადოების მონაწილეებმა. ეს იყო ნამდვილად ახალგაზრდობის ძალისა და სილამაზის პარადი. ჩვენი სპორტსმენები სტახანოვურად მუშაობენ წარმოებაში და მაღალი კლასის ოსტატობას გვიჩვენებენ სტადიონებზე და საწყალჯომარდო სადგურებზე, ამყარებენ საკავშირო და მსოფლიო რეკორდებს.

საუკეთესო ნაწილი ჩვენი სასპორტო ახალგაზრდობისა, რომელმაც ბრწყინვალედ გვიჩვენა თავისი წარმატებები ამასწინანდელ პარადზე, დღეს იმყოფება აქ, კრემლში. ყველა მღელვარებით მოელის ამხანაგ სტალინთან, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრის სასიხარულო წუთს.

8 საათია... გიორგის დარბაზის თაღებში მოულოდნელად მქუხარე ოვაციამ იფეთქა... მას გამოეხმაურნენ ვლადიმირის დარბაზში და გრანოვიტის პალატაში მყოფი სტუმრები.

ყველა დამსწრე პრეზიდიუმს შესცქერის. დარბაზში შემოდიან ამხანაგი ი. ბ. სტალინი, ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, ლ. პ. ბერია, ა. ა. ჟდანოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, გ. მ. მალენკოვი, ა. ა. ანდრეევი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ნ. ა. ბულგანინი.

ოვაცია ძლიერდება... მიღების მონაწილენი ფეხზე დგებიან, მთელი სულით და გულით მიესალმებიან ამხანაგ სტალინსა და მის ერთგულ თანამებრძოლებს. გაისმის მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“, „ამხანაგ სტალინს — ვაშა!“.

როცა ოვაცია შენელდა, ამხ. მოლოტოვმა მიმართა დამსწრეებს:

— ამხანაგო ფიზკულტურელებო! მთავრობისა და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მოგილოცავთ საბჭოთა ფიზკულტურის ახალ წარმატებებს, რაც ასე მშვენივრად იქნა დემონსტრირებული ფიზკულტურული დღესასწაულის დღეს მოსკოვსა და მთელ საბჭოთა კავშირში.

ამ დღესასწაულზე, ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის დღესასწაულზე მთელი საბჭოთა ხალხი ხედავს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, შრომისმოყვარე, მებრძოლი და ხალისიანი ახალგაზრდობა იზრდება და მტკიცდება როგორც საბჭოთა ქვეყნის უძლეველი ძალა, როგორც ახალი მსოფლიო კულტურისა და კაცობრიობის პროგრესის საიმედო ბურჯი.

სტალინური ზრუნვა და ხელმძღვანელობა აღაფრთოვანებს ჩვენს ახალგაზრდობას, თავისუფალ გზას უსახავს მას ფიზიკური და სულიერი ზრდისათვის და სრულყოფისათვის.

მე ვსვამ ჩვენი სტალინური ახალგაზრდობის, ჩვენი ფიზკულტურელების სახელოვანი არმიის, ჩვენი სპორტსმენების შემდგომი წარმატებებისა და რეკორდების სადღეგრძელოს! თქვენი სადღეგრძელო იყოს, ამხანაგებო! **(მქუხარე ტაში).**

ამხ. მოლოტოვი კვლავ წამოდგა:

— ამხანაგებო, მე არ დამიმთავრებია ჩემი პირველი სადღეგრძელო და მსურს განვაგრძო.

ჩვენი ფიზკულტურელები, ჩვენი ახალგაზრდობა და მისი წარმატებანი ჩვენი ქვეყნის, მისი ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის, საკუთარი ძალებისა და მომავლის რწმენის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

მე ვსვამ იმ ადამიანის სადღეგრძელოს, რომელიც განასახიერებს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის, ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო თვისებებს, დიდი და საყვარელი ამხანაგი სტალინის სადღეგრძელოს.

ამხ. მოლოტოვის ამ სიტყვებს მიღების ყველა მონაწილე მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით ეგებება. ყველანი ფეხზე დგებიან და მგზნებარედ მიესალმებიან ამხანაგ სტალინს. დარბაზში გაისმის ორკესტრის საზეიმო ხმები, რომელსაც ფარავს მქუხარე ტაში.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამხ. მოლოტოვი მიმართავს დამსწრეთ და ამბობს:

— ამხანაგებო! ახლა ჩვენ გვსურს მოვუსმინოთ თვით ფიზკულტურელებს. სიტყვა სადღეგრძელოსათვის ეძლევა საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონს ამხ. კუცენკოს.

ამხ. კუცენკო ამბობს:

— ამხანაგებო, უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ მომეცა ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი შემთხვევა ჩვენი საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენების სახელით გამოვსთქვა სიყვარული და ერთგულება ჩვენი პარტიისადმი, ამხანაგ სტალინისადმი! **(მქუხარე ტაში).**

ბევრის თქმა მინდა, კარგის, მთელი გულიდან რომ მოდის. მინდა გამოვთქვა აზრი, რომლითაც ახლა ცხოვრობს ყველა ჩვენი სპორტსმენი. ჩვენ, სპორტსმენებს, მშვენივრად გვესმის, რომ პარტიამ, ჩვენმა მთავრობამ ყველაფერი გააკეთა ჩვენთვის, იმისათვის, რომ ჩვენ შევძლოთ დავამყაროთ მსოფლიოში საუკეთესო მიღწევები. ჩვენ ვაუმჯობესებთ ჩვენს ოსტატობას ერთი აზრით, რომ უდიდეს ტიტანურ ბრძოლაში ჩვენმა ხალხმა, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ომი მოიგო, რომ ჩვენი ქვეყანა მოწინავე ქვეყანაა, რომელსაც აქვს მოწინავე ხელოვნება, ლიტერატურა, ტექნიკა, მრეწველობა და ამიტომ სპორტიც ასეთ ქვეყანაში საუკეთესო და ყოვლისმძლე უნდა იყოს. **(ტაში).**

ვსვამ სპორტის სადღეგრძელოს, რომელიც მომავალ საერთაშორისო შეხვედრებში ჩვენს სამშობლოს ახალ წარმატებებს მოუტანს! არ შევცდები, თუ გამოვთქვამ ყველა ჩვენი სპორტსმენის აზრს და ვიტყვი, რომ ჩვენს მიერ ნაკისრ მისიას მომავალ სასპორტო საქმეებში შევასრულებთ! **(ტაში).**

მე გთხოვთ ასწიოთ ჭიქა ჩვენი მშობლიური მამის, ჩვენი ქვეყნის გამარჯვებათა შემოქმედის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დღეგრძელობისათვის! **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამხ. მოლოტოვი შემდეგ სიტყვას აძლევს ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენს ამხ. კარაკულოვს.

— ამხანაგებო,—ამბობს კარაკულოვი,—ჩვენ თქვენთან ერთად ვგრძნობთ ზრუნვას ჩვენზე, ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებზე, ჩვენი საბჭოთა მთავრობის, ჩვენი კომუნისტური პარტიის, ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მხრივ. **(ტაში).**

ვსვამ ჩვენი საბჭოთა მთავრობის, კომუნისტური პარტიისა და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სადღეგრძელოს!

დარბაზში მხურვალე, ხანგრძლივი ოვაციაა. პარადის მონაწილენი მიესალმებიან ამხანაგ სტალინს.

ამხ. მოლოტოვი სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის რეკორდსმენს ამხ. გოკიელს.

— მძლავრია ჩვენი სამშობლო, ძლიერია საბჭოთა ხალხი—შემოქმედი და გამარჯვებული ხალხი, — ამბობს ამხ. გოკიელი.—მისი სიამაყეა ჩვენი სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობა, გამოზრდილი დიდი სტალინის მიერ. სტალინურმა ახალგაზრდობამ საკავშირო ფიზკულტურულ პარადზე ცხადჰყო თავისი მხურვალე სიყვარული და ერთგულება დიდი სტალინისადმი, თავისი მისწრაფება სასპორტო ოსტატობის სრულყოფისაკენ, საკავშირო და მსოფლიო რეკორდების გადამწყვეტი და გაბედული იერიშისაკენ ჩვენი სამშობლოს სადიდებლად! **(ტაში).**

ჩვენს წარმატებებს ჩვენ ვუმადლით საბჭოთა მთავრობას, ბოლშევიკების კომუნისტურ პარტიას და ჩვენს ძვირფას და საყვარელ მასწავლებელს დიდ სტალინს. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენს წარმატებებს ჩვენ აგრეთვე ვუმადლით დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს. **(მქუხარე ტაში).**

მე ვსვამ ჩვენი ძვირფასი და საყვარელი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის სადღეგრძელოს! **(მქუხარე ტაში, ორკესტრი ასრულებს ტუშს).**

შემდეგი სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის ჩემპიონსა და ევროპის ჩემპიონს ამხ. კოტკასს.

— ჩვენ, ფიზკულტურელებს, მთავრობამ ყველა შესაძლებლობა მოგვცა ვიმუშაოთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში. მადლობას ვუხდით ამ ზრუნვისათვის,—ამბობს ამხ. კოტკასი.—მე ვსვამ ჩვენი მშობლიური მთავრობის, კომუნისტური პარტიისა და ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობრის, ჩვენი მშობლიური ამხანაგი სტალინის სადღეგრძელოს! **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

შემდეგი სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონს ამხ. ნოვაკს. ამხ. ნოვაკი ამბობს:

— ჩვენმა სპორტსმენებმა უკანასკნელ წლებში აუცილებლად ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ ამავე დროს ცოტა გააკეთეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ზრუნვასა და ყურადღებას, რომელსაც ჩვენ გვითმობს მთავრობა, ჩვენი პარტია, ჩვენი საბჭოთა ქვეყანა. ჩვენს სპორტსმენებს შეუძლიათ ბევრად მეტის გაკეთება, ვიდრე მათ გააკეთეს. მე მსურს დავლიოთ ჩვენი საბჭოთა სამშობლოს სადღეგრძელო, რომელმაც აღგვზარდა და ძალები მოგვცა იმისათვის, რომ გადავაჭარბოთ არა მარტო იმ რეკორდებს, რომლებსაც ახლა ვაჭარბებთ, არამედ უმაღლეს რეკორდებსაც საბჭოთა ქვეყნისა და მსოფლიოს პირველობაზე.

მე მსურს დავლიოთ ჩვენი სამშობლოს, ჩვენი მთავრობის, ჩვენი პარტიისა და მშობლიური ამხანაგი სტალინის სადღეგრძელო! **(ხანგრძლივი ტაში).**

შემდეგ სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის რეკორდსმენს გალინა ტუროვას.

— ჩვენს შესანიშნავ ქვეყანაში, ჩვენ, ქალებს, შეგვიძლიან მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ვიყოთ მსოფლიოში უმაღლესი ახალი საზოგადოების მშენებელთა პირველ რიგებში, — აცხადებს ამხ. ტუროვა. — ყოფაცხოვრებაში, შრომაში, ხელოვნებასა და სპორტში საბჭოთა ქალი შესანიშნავ წარმატებებს აღწევს. შემოქმედების ამ ბედნიერებას საბჭოთა ქალი უმადლის ჩვენს მამასა და მასწავლებელს, ამხანაგ სტალინს. მე ვსვამ დიდი, ყველასათვის საყვარელი ამხანაგი სტალინისა და მისი ერთგული თანამებრძოლების სადღეგრძელოს! **(მქუხარე ტაში).**

ამხ. მოლოტოვი წამოდგება და ალერსიანი ხუმრობით ამბობს:

— დასასრულ, იმისათვის, რომ ჩვენ ყველამ ვისწავლოთ სირბილი ისე, როგორც საჭიროა, მე სიტყვას ვაძლევ შესანიშნავ მორბენალს ამხ. გორდიენკოს.

— ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვესწრები ძვირფას მეგობართა შორის, — ამბობს ამხ. გორდიენკო.—არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არის ასეთი ზრუნვა ახალგაზრდობაზე, როგორც ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში.

ამხანაგებო, მე ვსვამ ჩვენი ძვირფასი, საყვარელი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ჟდანოვის, ბერიას, მალენკოვის სადღეგრძელოს!

ამხანაგებო, ხალხთა საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს ვაშა! **(მქუხარე ტაში).**

მიღების დასასრულს ამხ. მოლოტოვი ამბობს:

— ამხანაგებო, დღეს აქ ცოტა როდია გამოჩენილი საბჭოთა სპორტსმენი და ჩვენ მათ გულით და სულით ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს, შემდგომ გამარჯვებებს სპორტში. ჩვენ აგრეთვე უნდა ვისურვოთ, რომ ჩვენს საბჭოთა კავშირში სპორტსმენები მეტი იყოს, რომ ჩვენში ბევრი იყოს რიგითი სპორტსმენები, ვინაიდან საბოლოო ანგარიშით საქმეს სწყვეტენ რიგითი სპორტსმენები და სპორტის მასობრიობა. ამას ჩვენ გვეუბნებიან მთავრობა, პარტია და ამხანაგი სტალინი.

გაუმარჯოს საბჭოთა სპორტსმენებს! ახალი რეკორდებისა და რეკორდსმენების სადღეგრძელო იყოს! რიგითი სპორტსმენებისა და სპორტის ყველა სახეში მათი წარმატებების სადღეგრძელო იყოს!

გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს! **(მქუხარე ტაში).**

ახლა კი ნახვამდის, ამხანაგებო! **(ხანგრძლივი ოვაცია).**

* * *

მიღების დროს შესდგა დიდი კონცერტი დედაქალაქის საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა კოზლოვსკიმ, მიხაილოვმა, მასლენიკოვამ, პროფესორმა ოისტრახმა, პიანისტმა ნიკოლაევამ, პიატნიცკის სახელობის სახელმწიფო რუსულმა ხალხურმა გუნდმა ვ. ზახაროვისა და პ. კაზმინის მხატვრული ხელმძღვანელობით, სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა იგორ მოისეევის მხატვრული ხელმძღვანელობით, დიდი აკადემიური თეატრის სოლისტმა ე. ივანოვმა და სხვებმა.

საზეიმო მიღება კრემლში ჩატარდა აღფრთოვანებულ და გულითადობის ვითარებაში. მიღების თვითეული მონაწილე—მხცოვანი მეცნიერი და გენერალი, ახალგაზრდა სპორტსმენი და ხელოვნების მოღვაწე—ყველა, ვინც იყო ამხანაგ სტალინთან და მის თანამებრძოლებთან ამ შეხვედრაზე, გრძნობდა მამობრივ ზრუნვასა და ყურადღებას, რომლითაც გარემოსილია პარტიისა და მთავრობის მიერ ყველა პროფესიისა და წოდების საბჭოთა ადამიანი.

მიღებას დაესწრო 1.500 კაცი.

(საკდესი).

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲖᲐᲕᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

11 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა სმიტმა ინახულა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, განცხადება გაუკეთა და ამასთან გადასცა სამახსოვრო ბარათი იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განზრახვა აქვს ამა წლის 19 აგვისტოს მოიწვიოს 11 სახელმწიფოს კონფერენცია იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების შესადგენად და ამასთან დაკავშირებით სთხოვს საბჭოთა მთავრობას ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებანი ამ საკითხზე.

სამახსოვრო ბარათში აღნიშნულია, რომ ამ მიზნით შეერთებული შტატების მთავრობა ამავე დროს იწყებს აზრთა ანალოგიურ გაცვლა-გამოცვლას შორეული აღმოსავლეთის კომისიის სხვა 9 წევრთან, სახელდობრ: ავსტრალიასთან, კანადასთან, ჩინეთთან, საფრანგეთთან, ინდოეთთან, ნიდერლანდებთან, ახალ ზელანდიასთან, ფილიპინებსა და შეერთებულ სამეფოსთან.

სამახსოვრო ბარათში ნათქვამია, რომ სასურველია აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღონ შორეული აღმოსავლეთის კომისიის წევრმა სახელმწიფოებმა, ე. ი. შეერთებულმა შტატებმა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა და ზემოთჩამოთვლილმა სახელმწიფოებმა და რომ გამარტივებულ იქნას ხელშეკრულების შედგენის მსვლელობაში უშუალოდ დაინტერესებულ სახელმწიფოებთან კონსულტაციათა ორგანიზაცია.

შემდეგ სამახსოვრო ბარათში აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატების მთავრობა იმ აზრს იცავს, რომ ყველა სხვა სახელმწიფოს, რომლებიც იაპონიასთან ომის მდგომარეობაში არიან, უნდა მიეცეს საშუალება გამოსთქვას თავისი თვალსაზრისი ხელშეკრულების შედგენის დროს და რომ ხელშეკრულების პროექტის შედგენის შემდეგ იგი განხილულ უნდა იქნას იაპონიასთან ომის მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოთა კონფერენციაზე.

ბარათში აგრეთვე ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დაკავებულია რიოდე-ჟანეიროს კონფერენციით, რომელიც 15 აგვისტოს იხსნება, რის გამო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განუხორციელებლად მიაჩნია წინადადება საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით კონფერენციის მოწვევის შესახებ და გულისხმობს, რომ ასეთი კონფერენცია თავდაპირველად იწარმოებს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებისა და ექსპერტების შემადგენლობით.

წინადადებაა კონფერენცია მოწვეულ იქნას ვაშინგტონში, ან მის მახლობლად, ანდა სან-ფრანცისკოში.

22 ივლისს საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ბ-ნ სმიტის მეშვეობით გაუგზავნა შემდეგი პასუხი:

ამა წლის 11 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ბ-ნმა სმიტმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს აცნობა, რომ შეერთებული შტატების მთავრობის წინადადებაა ამა წლის 19 აგვისტოს მოწვეულ იქნას შორეული აღმოსავლეთის კომისიის მონაწილე 11 სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონფერენცია იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების შესადგენად. ამავე დროს შეერთებული შტატების მთავრობამ ცალმხრივად დაიწყო მოლაპარაკება ამ საკითხზე დანარჩენი იმ ქვეყნების მთავრობებთან, რომლებსაც თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ შორეული აღმოსავლეთის კომისიაში.

ამრიგად, შეერთებული შტატების მთავრობა იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების შესადგენად კონფერენციის მზადებას უკვე შეუდგა, ამასთან ეს გააკეთა ცალმხრივი გადაწყვეტილების წესით და საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებთან კონსულტაციის გაუწევლად. ამავე დროს ცნობილია, რომ ოთხმა სახელმწიფომ—ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საბჭოთა კავშირმა, ჩინეთმა და დიდმა ბრიტანეთმა—თავიანთი შეიარაღებული ძალებით უზრუნველჰყო გამარჯვება აგრესიულ იაპონიაზე და ჯერ კიდევ იაპონიასთან ომის მსვლელობაში მიაღწია ურთიერთშორის გარკვეულ შეთანხმებას როგორც ომის წარმოების საკითხებზე, ისე ომისშემდგომი სამშვიდობო მოწყობის საკითხებზე. საკმაოა აღინიშნოს, ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა კაიროს დეკლარაცია, იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებანი და პოტსდამის დეკლარაცია.

გარდა ამისა, უკვე იაპონიასთან ომის დამთავრების შემდეგ შეერთებულმა შტატებმა, [illegible] ბრიტანეთმა და საბჭოთა კავშირმა, [illegible] ჩინეთმა, რომელიც [illegible] 1945 წლის დეკემბრის შეთანხმებით მოსკოვში დაადგინეს, რომ ეს ოთხი ქვეყანა მონაწილეობს იაპონიისათვის შექმნილ მოკავშირეთა საბჭოში და რომ შორეული აღმოსავლეთის კომისია ვაშინგტონში გადაწყვეტილებებს იღებს ოთხი აღნიშნული სახელმწიფოს წარმომადგენელთა აუცილებელი თანხმობის პირობებში, რითაც აღიარებულ იქნა ამ სახელმწიფოთა განსაკუთრებული დაინტერესება იაპონიაში ომისშემდგომი მდგომარეობის საკითხებით.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია დაეთანხმოს იმას, რომ იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების შესადგენად კონფერენციის მოწვევის საკითხს შეერთებული შტატების მთავრობა სწყვეტდეს ცალმხრივად და ისე, რომ წინასწარი კონსულტაცია არ გასწიოს საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებთან. მით უფრო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით შექმნილი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო სწორედ საზავო ხელშეკრულებათა შედგენისათვის მოსამზადებელი მუშაობის განსახორციელებლად შეიქმნა და ამიტომ იგი არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნას იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებისას.

ზემომოყვანილ მოსაზრებათა შესაბამისად საბჭოთა მთავრობას აუცილებლად მიაჩნია, რომ იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების შესადგენად კონფერენციის მოწვევის საკითხი წინასწარ განხილულ იქნას საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში აღნიშნული ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შემადგენლობით.

რაც შეეხება იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების შედგენის საკითხზე საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოწვევის ვადას, საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერს იმას, რომ ვაშინგტონში მყოფმა სსრ კავშირის, ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებმა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთან ერთად განიხილონ, თუ რა უახლოესი თარიღია მისაღები ყველა დაინტერესებული მთავრობისათვის, ამასთან მხედველობაში მიიღონ რომ სასურველია აღნიშნული საბჭოს მოწვევის დაჩქარება.

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ჰააგა, 22 ივლისი. (საკდესი). ანპის სააგენტო ბატავიიდან გადმოგვცემს, რომ ყველგან იავისა და სუმატრის კუნძულებზე ჰოლანდიელები სერიოზულ ბრძოლას აწარმოებენ ინდონეზიელთა წინააღმდეგ. ქალაქ ჰაკანგში ჰოლანდიელებმა მოკლეს რესპუბლიკელი ბურგომისტრი.

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ბატავიელი კორესპონდენტის ცნობით კარგად შეიარაღებულმა ჰოლანდიის ჯარებმა 120 ათასი კაცის შემადგენლობით საომარი ოპერაციები დაიწყეს ინდონეზიელთა წინააღმდეგ. საომარი მოქმედება დაიწყო რამდენიმე საათით ადრე ჰოლანდიის ულტიმატუმის ვადის გასვლამდე 20 ივლისს.

ინდონეზიის დეპეშათა სააგენტო ანტარა იუწყება, რომ ინდონეზიის ჯარების სარდალმა ჯოკიაკარტაში გენერალ-ლეიტენანტმა სუდერმანმა განაცხადა, რომ ძლიერი ბრძოლები გაჩაღდა ქალაქ სემარანგთან ბატავიის აღმოსავლეთით 250 მილზე და რომ ჰოლანდიის ჯარები უტევენ ინდონეზიის ჯარებს „არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგიდანაც“. „თუმცა, — სთქვა სუდერმანმა, — ომი ოფიციალურად არ გამოცხადებულა, მაგრამ აშკარაა, რომ ჰოლანდიელებმა ფაქტიურად ომი გამოუცხადეს რესპუბლიკას“.

ინდონეზიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე განი ხელთ იგდეს ჰოლანდიის ჯარებმა. განიმ ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტთან ინტერვიუში სთხოვა, რომ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და უცხოეთის სხვა სახელმწიფოების კონსულები შეიკრიბონ იმისათვის, რათა მოისმინონ ინდონეზიის პროტესტი ჰოლანდიელთა მიერ საომარი მოქმედების დაწყების წინააღმდეგ. განიმ აღნიშნა, რომ ჰოლანდიის ინდოეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის ვან მოოკის წარმომადგენელმა დოქტორმა კუტმა მას გადასცა ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ ჰოლანდიის მთავრობამ გადაწყვიტა საომარი მოქმედება კუნძულ იავაზე დაიწყოს 20 ივლისს 22 საათსა და 50 წუთზე ადგილობრივი დროით. „ვიდრე მე, — სთქვა განიმ, — შევძლებდი ტელეფონით დაკავშირებას ჩემს მთავრობასთან ჯოკიაკარტაში, რათა გამომერკვია, თუ რა ზომები უნდა მიმეღო ამის თავიდან ასაცილებლად, შეიარაღებული ჯარისკაცები ჩვენთან შემოიჭრნენ“.

განიმ განმარტა, რომ იგი და სხვა ოფიციალური პირები ბატავიაში დარჩნენ იმისათვის, რათა „უკანასკნელად ეცადათ მშვიდობის მიღწევა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო. როცა უცხოელი კონსულები გვინახულებენ ან ჰოლანდიელები ნებას დაგვრთავენ დავუკავშირდეთ ჯოკიაკარტას, ჩვენ ვეცდებით მშვიდობას მივაღწიოთ. ამერიკის შეერთებული შტატების გენერალურმა კონსულმა ფუტმა 20 ივლისს ღამით ტელეფონით მაცნობა, რომ იგი დაუყოვნებლივ მოვა წერილით ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტისაგან. მაგრამ ფუტი არ ჩამოვიდა, თუმცა მე მას ველოდი თითქმის 10 საათს, მანამდე სანამ ჰოლანდიელები საომარ მოქმედებას დაიწყებდნენ“.

ნაშუადღევს ჰოლანდიის ჯარებმა ხელთ იგდეს ანტარის სააგენტოს შენობა და წინადადება მისცეს ამ სააგენტოს შეეწყვიტა ბიულეტენის გამოცემა კორესპონდენტთათვის. შემოღებულია ცენზურა. ჰოლანდიის სარდლობამ გამოაცხადა, რომ კორესპონდენტებს ნება მიეცემათ ყოველდღიურად გადასცენ ტელეგრაფით მხოლოდ 50 სიტყვა საომარი მოქმედების ზონაში მდებარე რაიონებიდან.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ბატავიელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ინდონეზიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა შარიფუდინმა რადიოთი განაცხადა: „ჰოლანდიელებმა ძალდობა დაიწყეს არა მარტო ფრონტზე, არამედ დაბომბეს ქალაქები მალანგი, სოლო და სხვები. მე ბრალს ვდებ ჰოლანდიელებს იმაში, რომ ისინი კვლავ ცდილობენ ჩვენ კოლონიად გადაგვაქციონ. მე ბრალს ვდებ მათ დროებითი ზავის ხელშეკრულების დარღვევაში“.

შემდეგ კორესპონდენტი იუწყება, რომ ჰოლანდიის ჯარების სათავეშია ამერიკის ბაზაზე გაწვრთნილი საზღვაო ქვეითა ჯარის დივიზია.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ბატავიელი კორესპონდენტის ცნობით ჰოლანდიის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ჰოლანდიელები ინდონეზიელთა წინააღმდეგ იყენებენ „მუსტანგ პ-51“ ტიპის ავიაგამანადგურებლებს და „მიტჩელ— ბ-25“ ტიპის ბომბდამშენებს, აგრეთვე სარაკეტო ყუმბარებს, ბომბებსა და ტყვიამფრქვევებს. ჰოლანდიელები ამ თვითმფრინავებს იღებენ ამერიკის ნაჭარბი სამხედრო მოწყობილობის განაწილებისას.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბატავიიდან გადმოგვცემს, ინდონეზიის რადიომ გამოაცხადა, რომ ჰოლანდიელებმა ტყვიამფრქვევი დაუშინეს რკინიგზის შემადგენლობას ინდონეზიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ინდონეზიის პრემიერ-მინისტრი შარიფუდინი რადიოთი გამოვიდა და განაცხადა, რომ ჰოლანდიელებს განუწყვეტლივ მოჰყავთ ჯარები წესრიგის დაცვის საბაბით.

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჯოკიაკარტიდან ჰოლანდიელების კონტროლქვეშ მყოფი ბატავიის ნაცვლად სინგაპურით გამოგზავნილ დეპეშაში იუწყება, რომ ხუთი წუთის შემდეგ, რაც დამთავრდა პრემიერ-მინისტრ შარიფუდინის რადიოთი გამოსვლა, რომელმაც განაცხადა, რომ ჰოლანდიელები კოლონიურ ომს აჩაღებენ, ჰოლანდიის 4 თვითმფრინავმა გადაიფრინა ჯოკიაკარტის მიდამოებზე და მოისმა, სულ მცირე, 5 აფეთქება. როგორც ჩანს, დაბომბვის ძირითადი ობიექტი აეროდრომი იყო.

პირველ არაოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ აეროდრომზე ხანძარი გაჩნდა და რამდენიმე კაცი დაიჭრა.

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბატავიიდან გადმოგვცემს, ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სუკარნომ, რომელიც რადიოთი გამოვიდა, განაცხადა, რომ იგი სთხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჩაერიოს ინდონეზიელთა საქმეში.

„მე მზად ვარ, — სთქვა სუკარნომ, — ეს საკითხი დავსვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ დამყაროს მშვიდობა და უშიშროება მთელ მსოფლიოში“.

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ბატავიელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ინდონეზიის რესპუბლიკური რადიო სურაკარტაში იუწყება, რომ 22 ივლისს ჰოლანდიის სამხედრო თვითმფრინავებმა ტყვიამფრქვევი დაუშინეს და დაბომბეს ინდონეზიის აეროდრომები და რკინიგზები. ჰოლანდიის ავიაგამანადგურებლებმა ტყვიამფრქვევი დაუშინეს მატარებელს მალანგსა და ჯოკიაკარტას შუა, სხვა თვითმფრინავები თავს დაესხნენ მალანგს, აგრეთვე დაბომბეს და ტყვიამფრქვევი დაუშინეს სურაკარტას, 195 მილზე ბატავიის სამხრეთ აღმოსავლეთით.

ჰოლანდიის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ამერიკის ავიაგამანადგურებლებმა სროლა ფუ[illegible] პანასანის აეროდრომს სოლოს მახლობლად და პასუკ-მალაის აეროდრომს.

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ბატავიელი კორესპონდენტის ცნობით, ინდონეზიის რესპუბლიკურმა რადიომ გადასცა, რომ ჰოლანდიელებმა ფართო მასშტაბით დაიწყეს ჯარების გადასხმა კუნძულ იავის აღმოსავლეთ ნაწილში და ხელთ იგდეს ბანიუვანგი კუნძულ იავის აღმოსავლეთ ნაწილში კუნძულ ბალის პირდაპირ და სიტუბონდო სურაბაიასა და ბანიუვანგს შუა.

ჰააგა, 22 ივლისი. (საკდესი). ჰოლანდიის კომუნისტურმა პარტიამ მოწოდებით მიმართა ჰოლანდიის ყველა მშრომელს მოითხოვოს ბეელის მთავრობის გადადგომა, რომელმაც ომი გამოუცხადა ინდონეზიის რესპუბლიკას. მოწოდებაში ნათქვამია: „თანამემამულენო! არჩევანი მოხდა: დიდი დათმობების შემდეგ რესპუბლიკური მთავრობის მხრივ, რომელიც ცდილობდა რაც შეიძლება მალე შეესრულებინა ჰოლანდია-ინდონეზიის ხელშეკრულება, [illegible] ხელი ჩაერია ამბების მიმდინარეობაში. ჩვენმა მთავრობამ გადაწყვიტა ილაპარაკოს იარაღის ენით, და ერთი მიზანი აქვს — ინდონეზიის რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაცია და იავაზე კოლონიური რეჟიმის აღდგენა სამხრეთ ცელებესის მაგალითის მიხედვით. „შრომის პარტიას“ სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ომის გაჩაღებაში მთავრობის მხარდაჭერისათვის, რომელსაც ჩვენ კატასტროფამდე მივყავართ.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა თავისუფლების მოყვარე და დემოკრატიულ ძალებს გამოვიდნენ კოლონიური ომის ორგანიზატორთა წინააღმდეგ. ბეელის მთავრობა დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს. ხელისუფლების სათავეში უნდა ჩაუდგეს ახალი, დემოკრატიული მთავრობა, რომელიც შეაჩერებს საომარ მოქმედებას და განაახლებს რესპუბლიკასთან თანამშრომლობას.

ქალებო და კაცებო! ახლა სწყდება ჩვენი ბედისწერა, ჩვენი ერის ბედი. ყველანი ომის წინააღმდეგ, ინდონეზიასთან მშვიდობის სასარგებლოდ!“.

ჰააგა, 22 ივლისი. (საკდესი). გუშინ ამსტერდამში დიდი მღელვარება სუფევდა. ხალხის მასები განუწყვეტლივ იკრიბებოდნენ და მოითხოვდნენ ინდონეზიელი ხალხის წინააღმდეგ საომარი მოქმედების შეწყვეტას. ჰოლანდიის ჩრდილოეთ ნაწილის მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. ამსტერდამის მრავალმა საწარმომ აგრეთვე შეაჩერა მუშაობა ინდონეზიაში ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ჰააგა, 22 ივლისი. (საკდესი). როგორც ანპის სააგენტო იუწყება, 21 ივლისს ბანიუვანგის რაიონში ჰოლანდიის სამხედრო ხომალდებმა სროლა აუტეხეს ინდონეზიელთა პოზიციებს. ჰოლანდიელებმა ნაპირზე გადმოსხეს 80 ჯარისკაცი ტანკებიანად.

ანპი აგრეთვე გადმოგვცემს ჯოკიაკარტის რადიოს ცნობას, რომ დღეს ცხარე ბრძოლები გაჩაღდა ბანდუნგ-ბაიტენზორგის გზაზე. ბევრ ადგილას ხანძარი გაჩნდა. დიდი ბრძოლები სწარმოებს სემარანგის სამხრეთით და ბატავიის აღმოსავლეთით. ჰოლანდიის ავიაციამ დაბომბა ჯოკიაკარტა, სურაკარტა, ტასიკმალაია და სხვა ქალაქები. სერიოზული ბრძოლები გაჩაღდა აგრეთვე ბატავიის აღმოსავლეთით.

ანპი ბატავიიდან გადმოგვცემს ჰოლანდიის ოფიციალურ კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ 21 ივლისს ჰოლანდიის თვითმფრინავთა ესკადრილიებმა დაბომბეს აეროდრომები იავასა და სუმატრაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ კ. გ. ჭიჭინაძის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად შემოიტანა რესპუბლიკის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და 1946 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. ამ საკითხზე სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ კვირკველიას მოხსენება.

უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ განიხილა 1946 წლის რესპუბლიკური და ცალკეული ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლისა და გასავლის ნაწილების შესრულება.

კომისიის დავალებით მოკლედ შევჩერდები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1946 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე.

ჩვენი რესპუბლიკის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული იყო 1.575.970 ათასი მანეთის ოდენობით. ამის შემდეგ საკავშირო მთავრობის დადგენილებით რესპუბლიკის ბიუჯეტი გადიდებულ იქნა 132.916 ათასი მანეთით და, ამრიგად, საქართველოს რესპუბლიკის 1946 წლის ბიუჯეტი საბოლოოდ განისაზღვრა 1.708.886 ათასი მანეთის ოდენობით.

ბიუჯეტი შესრულდა სამემოსავლო ნაწილში 1.728.542 ათასი მანეთით, ანუ 101,2 პროცენტით. ბიუჯეტის გასავალი უდრიდა 1.681.400 ათას მანეთს. ამრიგად, შემოსავალმა გადააჭარბა გასავალს 47.142 ათასი მანეთით.

1946 წლის ბიუჯეტის მთავარი შემოსავლის წყაროები შესრულებულია შემდეგი ოდენობით: ბრუნვის გადასახადის ანარიცხები—98,5 პროცენტით, მოგების ანარიცხები—112,5 პროცენტით.

რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამეურნეო ორგანიზაციებმა 1946 წელს 18.249 ათასი მანეთით მეტი მისცეს სახელმწიფოს ვიდრე წინასწარ იყო გათვალისწინებული. მოგების ანარიცხების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა ყველა საწარმომ, გარდა კინემატოგრაფიისა და კვების მრეწველობის სამინისტროებისა, აგრეთვე საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების ყოფილი სამმართველოს საწარმოებისა, რომლებმაც დააკლეს ბიუჯეტს 4.341 ათასი მანეთი.

რესპუბლიკის საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვების გეგმა 1946 წელს შესრულებულია 104,5 პროცენტით. მოგების ანარიცხების გეგმას, საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისა და თვითღირებულების შემცირების შედეგად, საგრძნობლად გადააჭარბეს შემდეგი სამინისტროების საწარმოებმა: გემოვნების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 8.540 ათასი მანეთით, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსი — 4.567 ათასი მანეთით, ავტოტრანსპორტის სამინისტროსი — 4.616 ათასი მანეთით, კომუნალური მეურნეობის სამინისტროსი—4.300 ათასი მანეთით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი—1.859 ათასი მანეთით და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოებმა — 1.417 ათასი მანეთით.

1946 წელს ქალაქებისა და რაიონების დიდმა უმრავლესობამ გადაჭარბებით შეასრულა ადგილობრივი ბიუჯეტი სამემოსავლო ნაწილში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტი ყოველწლიურად საგრძნობლად იზრდება.

1945 წელთან შედარებით 1946 წლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი გაზრდილია 268.898 ათასი მანეთით ანუ 19,3 პროცენტით.

სახალხო მეურნეობის დაფინანსებამ 1946 წელს შეადგინა 356.413 ათასი მანეთი, ნაცვლად 1945 წლის 248.879 ათასი მანეთისა.

ბიუჯეტის უმთავრესი თანხები გამოყენებულ იქნა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად. 1946 წელს ამ დანიშნულებისათვის დაიხარჯა 1.145.371 ათასი მანეთი, ნაცვლად 1945 წელს დახარჯული 1.002.068 ათასი მანეთისა, ანუ 143.303 ათასი მანეთით მეტი.

ეს ციფრები ნათლად მოწმობენ ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდეს მზრუნველობას მშრომელთა სოციალურ-კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

საბიუჯეტო კომისია სთვლის, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა საერთო საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი გადასახადებისა და შემოსავლების გეგმა, რითაც უზრუნველჰყო საქართველოს სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

საბიუჯეტო კომისიამ დამავალა მოვახსენო უმაღლესი საბჭოს სესიას საბიუჯეტო კომისიის შენიშვნები ზოგიერთი ორგანიზაციის მიერ ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ადგილობრივი ბიუჯეტების ხაზით აუთვისებელია სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი თანხებიდან 3.052 ათასი მანეთი იმის გამო, რომ აგროზოოვეტქსელი არ იყო დაკომპლექტებული სათანადო სპეციალისტებით, აგრეთვე არ შესრულებულა არალიმიტურ დაბანდებათა სამუშაოები.

აგროზოოვეტქსელის სპეციალისტებით დაკომპლექტებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაღალი აგროტექნიკის დანერგვის საქმეში, რომლის საშუალებით მიღწეულ უნდა იქნას სპეციალური ტექნიკური, სუბტროპიკული და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდება და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა.

ამ დარგის სპეციალისტები საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება. საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ადგილობრივმა ორგანოებმა მეტი ყურადღება მიაქციონ და უზრუნველჰყონ აგროზოოვეტქსელის დაკომპლექტებას სათანადო სპეციალისტებით.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებისათვის 1946 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებიდან აუთვისებელი დარჩა 54.295 ათასი მანეთი, მათ შორის: საერთო განათლების ხაზით — 15.084 ათასი მანეთი, კულტსაგანმანათლებლო მუშაობის ხაზით—1.476 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვის ხაზით—25.265 ათასი მანეთი.

გასულ წელს აუთვისებელი დარჩა სახალხო განათლების ხაზით სოფლის სკოლების მშენებლობისათვის განკუთვნილი თანხებიდან 714 ათასი მანეთი, საბავშვო ბაღების შესანახად — 5.030 ათასი მანეთი.

როგორც ვხედავთ, საგრძნობი თანხები დარჩა აუთვისებელი სოფლად სასკოლო მშენებლობისა და საბავშვო ბაღებში ბავშვთა შენახვისათვის განკუთვნილი სახსრებიდან. საბავშვო ბაღების შესანახად განკუთვნილი თანხების აუთვისებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ საბავშვო ბაღები არ იყო დაკომპლექტებული გათვალისწინებული კონტინგენტით როგორც ქალაქად, ისე სოფლად, და ბავშვთა დასწრება საბავშვო ბაღებში გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. ამასთანავე ბავშვთა კვებისათვის იხარჯებოდა იმაზე ნაკლები, რაც ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული. აუთვისებელი დარჩა საბავშვო სახლებში მოთავსებულ ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი თანხებიდან 1.282 ათასი მანეთი, რაც გამოწვეულია ადგილობრივი საბჭოების მიერ ამ დანიშნულებისათვის თანხების დროზე გადაურიცხველობით.

ცნობილია, რომ ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბავშვო ბაღებსა და სახლებს. განათლების და ფინანსთა სამინისტროებმა, მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქალაქო და რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა გაითვალისწინონ ეს მდგომარეობა და მომავალში უზრუნველჰყონ საბავშვო დაწესებულებათა დაკომპლექტების გეგმის შესრულება და მათი შეუფერხებელი დაფინანსება.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 1946 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებიდან აუთვისებელი დარჩა 25.265 ათასი მანეთი, მათ შორის რესპუბლიკური ბიუჯეტით—9.124 ათასი მანეთი და ადგილობრივი ბიუჯეტით — 16.141 ათასი მანეთი. ასეთი დიდი თანხების აუთვისებლობა გამოწვეულია ძირითადად სამკურნალო დაწესებულებებში საწოლების დაუტვირთველობით, განსაკუთრებით სოფლად, და კვებისათვის განკუთვნილი ხარჯების არასრულად გამოყენებით.

მაგალითად, ქალაქის საავადმყოფოებში გათვალისწინებული იყო დღეში თითო ავადმყოფის კვებაზე 8-60 კაპიკი, ფაქტიურად დახარჯულია 5-76 კაპიკი.

დაუკომპლექტებელია მრავალი სამკურნალო დაწესებულება სამედიცინო პერსონალით. აკლიათ ქალაქების საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებში 185, ხოლო სოფლად 325 კაცი. ექიმები ჩვენ საერთოდ არ გვაკლია, პირიქით, საჭირო რაოდენობაზე მეტიც გვყავს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მათი ნაწილი არასპეციალობის მიხედვით მუშაობს, ხოლო ზოგჯერ არასწორად ხდება მათი განაწილება. საჭიროა პირველ რიგში სოფლის სამკურნალო დაწესებულებათა სათანადო პერსონალით დაკომპლექტება.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ჩვენი კურორტების აღდგენა და მათი კეთილმოწყობა.

საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, აგრეთვე ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა მეტი ყურადღება მიაქციონ სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობას, მეტი დახმარება აღმოუჩინონ მათ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კურორტების აღდგენისა და მათი კეთილმოწყობის საქმეს.

ვაჭრობის სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა მოაგვარონ საავადმყოფოების სასურსათო პროდუქტებით მომარაგების საქმე.

მიუხედავად იმისა, რომ საგზაო მშენებლობისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები ათვისებულია, გზებისა და ხიდების მდგომარეობა მრავალ რაიონში არადამაკმაყოფილებელია.

ამაში კი, უწინარეს ყოვლისა, ბრალი მიუძღვით მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საგზაო სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს, რომლებიც მეტად მოუქნელად მუშაობენ, არ იყენებენ მათ განკარგულებაში არსებულ დიდ შესაძლებლობებს ამ საქმეში.

არანაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სარაიონო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს.

რესპუბლიკური და სასოფლო გზების, ხიდების წესრიგზე მოყვანის საქმეში მონაწილეობა უნდა მივაღებინოთ ყველა მშრომელს. საჭიროა ამ საქმის სათავეში ჩაუდგნენ ადგილობრივი საბჭოები. უახლოეს პერიოდში ყველა რაიონსა და სოფლებში უნდა გვექნეს კარგი გზები.

საბიუჯეტო კომისიას 1946 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში არ შეაქვს ცვლილებანი და სთხოვს უმაღლეს საბჭოს უცვლელად დაამტკიცოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი 1946 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში სამემოსავლო ნაწილში 1.728.542 ათასი მანეთის და საგასავლო ნაწილში 1.681.400 ათასი მანეთის ოდენობით, სამემოსავლო ნაწილის საგასავლო ნაწილზე 47.142 ათასი მანეთის გადაჭარბებით.

ამხანაგო დეპუტატებო!

საბიუჯეტო კომისიამ განიხილა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1947 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად და დამავალა მოვახსენო უმაღლეს საბჭოს, რომ ბიუჯეტი შედგენილია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის გეგმის სრული შესაბამისობით.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტის მოცულობა, რომელიც მიღებულია მინისტრთა საბჭოს მიერ და წარმოდგენილია დასამტკიცებლად, უდრის სამემოსავლო ნაწილში 2.160.095 ათას მანეთს და გასავალში 2.149.242 ათას მანეთს, ანუ 1946 წელთან შედარებით ზრდა უდრის 27,8 პროცენტს.

რესპუბლიკის ბიუჯეტში მთავარ სამემოსავლო წყაროებს წარმოადგენენ სოციალისტური მეურნეობის შემოსავლები, რაც დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნის მეურნეობის სოციალისტური სისტემისათვის.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 1947 წელს მიიღებს ბრუნვის გადასახადის ანარიცხების სახით 1.108.021 ათას მანეთს. სახალხო მეურნეობის დარგების მოგების ანარიცხები გათვალისწინებულია 183.630 ათასი მანეთი.

1947 წელს საგრძნობლად იზრდება ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტი.

მაგალითად, აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტი 1946 წელს უდრიდა 109.763 ათას მანეთს, 1947 წელს კი უდრის 135.462 ათას მანეთს; აჭარის ასსრ ბიუჯეტი—1946 წელს 81.736 ათას მანეთს, 1947 წელს—100.749 ათას მანეთს; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტი—1946 წელს 43.502 ათას მანეთს, 1947 წელს კი — 53.964 ათას მანეთს; ქალაქ თბილისის ბიუჯეტი — 1946 წელს 199.522 ათას მანეთს, 1947 წელს უდრის 244.229 ათას მანეთს; ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტი — 1946 წელს 31.430 ათას მანეთს. 1947 წელს კი 38.002 ათას მანეთს; გორის რაიონის ბიუჯეტი—1946 წელს 23.825 ათას მანეთს, 1947 წელს კი უდრის 26.447 ათას მანეთს; სიღნაღის რაიონის ბიუჯეტი—1946 წელს 10.693 ათას მანეთს, 1947 წელს კი 13.661 ათას მანეთს; ზუგდიდის რაიონის ბიუჯეტი — 1946 წელს 19.488 ათას მანეთს, 1947 წელს — 23.273 ათას მანეთს; მახარაძის რაიონის ბიუჯეტი—1946 წელს 17.831 ათას მანეთს, 1947 წელს 23.322 ათას მანეთს და სხვა.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ითვალისწინებს 468.592 ათას მანეთს. აქედან რესპუბლიკის მრეწველობის განვითარებაზე დაიხარჯება 130.300 ათასი მანეთი, სოფლის მეურნეობაზე—116.752 ათასი მანეთი, კომუნალურ მეურნეობასა და კეთილმოწყობაზე—106.338 ათასი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს მრეწველობამ 1946 წელს პროდუქციის გამოშვების გეგმა 104,5 პროცენტით შეასრულა. მრავალმა საწარმომ წარმატებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად მისი ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. წარმოების სწორი ორგანიზაციის შედეგად მიღწეულ იქნა მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, ნედლეულის ეკონომიური ხარჯვა.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი საწარმოები, რომელნიც არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს და რომლებსაც მატერიალური და ფულადი სახსრების უყაირათოდ ხარჯვის შედეგად არადამაკმაყოფილებელი საფინანსო მაჩვენებლები აქვთ.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 1946 წელს საწარმოო გეგმა შეასრულეს 96 პროცენტით, ხოლო 1947 წლის პირველი ნახევარი წლის გეგმა 13 დღით ადრე გაანაღდეს. როგორც ვხედავთ, ამ სამინისტროს საწარმოებმა მიმდინარე წელს საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა. მიუხედავად ამისა, თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. მღებრიშვილი) 1946 წელს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 87,8 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა—89,7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 91,5 პროცენტით. ფაბრიკამ პირველი ხარისხის ფეხსაცმელი გამოუშვა 45,9 პროცენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 71 პროცენტისა, გადახარჯა ხელფასის ფონდი 120,7 ათასი მანეთი.

ეს ფაბრიკა არადამაკმაყოფილებლად განაგრძობს მუშაობას მიმდინარე წელსაც. 1947 წლის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმა არ შეუსრულებია, გადახარჯა ხელფასის ფონდი 32,2 ათასი მანეთის რაოდენობით.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მოწამეთის კირის ქარხანამ (ყოფილი დირექტორი ამხ. ტყაბლაძე) 1946 წლის საწარმოო-საფინანსო საქმიანობა არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დაამთავრა. გასული წლის საწარმოო გეგმა შესრულებულ იქნა 64 პროცენტით, პროდუქციის რეალიზაციისა 50,5 პროცენტით. მუშახელის არარაციონალური გამოყენების შედეგად შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულდა მხოლოდ 71 პროცენტით. მანქანა-მოწყობილობის სარემონტო სამუშაოთა ჩაშლის შედეგად ქარხანა არ მუშაობდა 8 თვის განმავლობაში. ამის გამო გაძვირებულ იქნა პროდუქციის თვითღირებულება 9,5 პროცენტით და მიღებულ იქნა გეგმის გადამეტებით ზარალი.

ქარხანამ ვერც მიმდინარე წელს შესძლო მუშაობის გაუმჯობესება. პირველი ნახევარი წლის საწარმოო დავალების შესრულება ჩაშლილია. გეგმით გათვალისწინებულ 2.600 ტონა კირის ნაცვლად, გამოშვებულია მხოლოდ 313 ტონა, რაც გეგმის 12 პროცენტს შეადგენს. მუშახელის არასწორად გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების გეგმის შეუსრულებლობის შედეგად გადახარჯულია ხელფასის ფონდი და მიღებულია ზეგეგმიური ზარალი 16 ათასი მანეთის რაოდენობით.

სატყეო მრეწველობის სამინისტროს მცხეთის ასანთის ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. მაცაბერიძე) გასულ წელს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 88,8 პროცენტით, 30 ათასი ყუთი ასანთის ნაცვლად გამოუშვა მხოლოდ 18.286 ყუთი, ანუ გეგმის 60,9 პროცენტი. ნედლეულის, მასალების და ფულადი სახსრების უყაირათოდ ხარჯვის შედეგად პროდუქციის თვითღირებულება გაიზარდა 200 ათასი მანეთით. გადახარჯულია 183 კუბმეტრი მასალა და ხელფასის ფონდი 17.700 მანეთის რაოდენობით. შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულებულია 91,1 პროცენტით. ქარხანამ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის საწარმოო დავალება შეასრულა 81,2 პროცენტით, ხოლო ასანთის გამოშვებისა—83,5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა—90,1 პროცენტით. პროდუქციის ხარისხი დაბალია.

აღნიშნულ საწარმოებში საფინანსო დისციპლინა დაბალ დონეზეა. მნიშვნელოვანი სახსრები დაბანდებულია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიულ ნაშთებსა და დებიტორულ დავალიანებებში.

საჭიროა სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მიიღონ ზომები მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულებისათვის, უზრუნველჰყონ პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, აღკვეთონ ნედლეულის, მასალისა და ხელფასის ფონდის უყაირათო ხარჯვა.

მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაიხარჯოს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1.498.444 ათასი მანეთი ანუ ბიუჯეტის 69,7 პროცენტი. აქედან განათლებაზე — 965.515 ათასი მანეთი, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე—378.951 ათასი მანეთი, სოციალურ უზრუნველყოფაზე—143.975 ათასი მანეთი.

ბიუჯეტით გათვალისწინებულია მეცნიერებისა და ხელოვნების ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა.

რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ სასწავლებლებში მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდა გათვალისწინებულია: დაწყებითსა და საშუალო სკოლებში 74.731 კაცით, ხოლო ტექნიკუმებისა და უმაღლეს სასწავლებლებში—2.321 კაცით.

შესამჩნევად იზრდება ბავშვთა კონტინგენტი საბავშვო ბაგებსა და ბაღებში. საგრძნობლად ფართოვდება საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, დედათა და ბავშვთა კონსულტაციების ქსელი.

რესპუბლიკური დაქვემდებარების კურორტების კეთილმოწყობისათვის მიმდინარე წელს დაიხარჯება 9.710 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე 1946 წელს და ამ კურორტებზე საწოლების რიცხვი გადიდდება 1.310-ით. გათვალისწინებულია სერიოზულ ღონისძიებათა განხორციელება ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების კეთილმოწყობისათვის, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მშრომელი მოსახლეობის საკურორტო მომსახურებას.

ამხანაგო დეპუტატებო!

საბიუჯეტო კომისიას მიაჩნია, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სწორად განსაზღვრა ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება და მისი განაწილება სახალხო მეურნეობის დარგებს შორის.

საბიუჯეტო კომისიამ საქართველოს საგეგმო კომისიის, სამინისტროების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლებთან ერთად განიხილა რესპუბლიკის, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალი და გასავალი, რის შედეგად საჭიროდ მიაჩნია წარმოდგენილი ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილი დარჩეს უცვლელად, ხოლო საგასავლო ნაწილში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი:

სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი გადიდდეს 14.870 ათასი მანეთით შემდეგი ღონისძიებებისათვის:

ა) სახალხო განათლების ხაზით — 4.205 ათასი მანეთით,

ბ) ჯანმრთელობის დაცვის ხაზით — 2.400 ათასი მანეთით,

გ) კომუნალური მეურნეობის ხაზით — 4.480 ათასი მანეთით,

დ) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხაზით — 1.250 ათასი მანეთით,

ე) ხელოვნების დარგში — 725 ათასი მანეთით,

ვ) ფიზიკური კულტურის დარგში — 260 ათასი მანეთით,

თ) სოციალური უზრუნველყოფის დარგში — 50 ათასი მანეთით,

კ) ადმინისტრაციული შენობების რემონტისათვის — 800 ათასი მანეთით,

ი) სახალხო სასამართლოების შენობების რემონტისათვის — 700 ათასი მანეთით.

შეუმცირდეს დაფინანსება ბიუჯეტიდან: მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 1.427 ათასი მანეთით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1.855 ათასი მანეთით და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პოლიგრაფიისა და გამომცემლობის სამმართველოს—735 ათასი მანეთით. ეს შემცირება მოხდეს ამ ორგანიზაციების საწარმოების მიერ 1946 წლის მოგებიდან დაგროვებული და 1947 წლის საფინანსო გეგმით გაუთვალისწინებელი ზედმეტი თანხების ანგარიშში.

საბიუჯეტო კომისიის მიერ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შეტანილი ცვლილებანი ცალკეული ბიუჯეტების მიხედვით მთლიანად მოცემულია უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის დარიგებულ დასკვნაში და შეთანხმებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან. ამიტომ ამ საკითხზე უფრო ვრცლად არ შევჩერდები.

შემოგვაქვს წინადადება აღნიშნულ შესწორებათა გათვალისწინებით დამტკიცებულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სამემოსავლო ნაწილში 2.160.095 ათასი მანეთის და საგასავლო ნაწილში 2.160.095 ათასი მანეთის რაოდენობით. აქედან რესპუბლიკური ბიუჯეტი 921.228 ათასი მანეთისა და ადგილობრივი ბიუჯეტები 1.238.867 ათასი მანეთის რაოდენობით.

ამხანაგო დეპუტატებო!

სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება, საწარმო-დაწესებულებებში მტკიცე საფინანსო დისციპლინის დანერგვა ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობაზე. საფინანსო ორგანოებს ამ დიდ მუშაობაში დახმარება უნდა აღმოუჩინონ და კონტროლი გაუწიონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა 1946 წელს უზრუნველჰყვეს ბიუჯეტის როგორც სამემოსავლო ნაწილის შესრულება, ისე დაფინანსების შეუფერხებელი წარმოება. გააუმჯობესეს ქვემდებარე ორგანიზაციების, აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციების რევიზიის საქმე.

მიუხედავად ამისა, მათს მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული დეფექტები. ადგილი აქვს საფინანსო ორგანოების მუშაკების მიერ სახელმწიფო თანხების მითვისების, მოსახლეობის არასწორად დაბეგვრის შემთხვევებს. ზოგიერთ დაწესებულებაში დღემდე არ არის ლიკვიდირებული ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შესანახი თანხების გადახარჯვა, ადგილი აქვს სხვადასხვა გადასახადების ნარჩენებს, დებიტორულ დავალიანებას. არის შემთხვევები საბიუჯეტო ორგანიზაციების მომუშავეებისათვის ხელფასის დაგვიანებისა.

მრავალ ადგილას ჭიანურდება მშენებლობა, მისი ხარისხი არადამაკმაყოფი-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე. სურათზე (მარცხნიდან): დეპუტატები ი. ფესტვენიძე, საბჭოთა კავშირის გმირი მ. ქანთარია, მ. პლიევა და რ. ბერუაშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე. სურათზე (მარცხნიდან): დეპუტატები მ. არძინბა, ტ. ფოფხაძე, ი. ხვედელიანი და ც. ბერაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა

კომუნისტი

ხუთშაბათი, 24 ივლისი, 1947 წ. № 147 (7931).

ეროვნული

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ კ. გ. ჭიჭინაძის თანამოხსენება

(დასასრული)

ფილებულია, რაც იწვევს მშენებლობის გაძვირებას. ჯერ კიდევ სუსტია ფინანსთა სამინისტროს კონტროლი ქვემდებარე საფინანსო ორგანოებსა და სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებისადმი.

ჩხოროწყუს რაიაღმასკომის საფინანსო განყოფილების მუშაკების მიერ გაფლანგულია საგრძნობი თანხა.

სახელმწიფო და სპეციალური ბანკების ადგილობრივი ორგანოები სუსტად ახორციელებენ კონტროლს თანხების ხარჯვისადმი.

საჭიროა ფინანსთა სამინისტრომ კიდევ უფრო გააუმჯობესოს სარევიზიო მუშაობა და სისტემატური კონტროლი გაუწიოს საფინანსო ორგანოებისა და სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების საქმიანობას. ყველგან უნდა დაინერგოს მტკიცე საფინანსო დისციპლინა, მეტი კონტროლი უნდა გაეწიოს სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობას მშენებლობის დარგში და არ იქნას დაშვებული მშენებლობათა გაჭიანურება, გაძვირება.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონულმა საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ თავიანთი ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროების გასადიდებლად.

ამხანაგო დეპუტატებო!

ორი წელი შესრულდა, რაც საბჭოთა ხალხმა დიდი სამამულო ომი გამარჯვებით დაამთავრა. ჩვენი ქვეყანა მძიმე განსაცდელიდან გამოვიდა კიდევ უფრო მტკიცე და დარაზმული, მიუხედავად ომით მიყენებული დიდი მატერიალური დანაკლისისა. ჩვენი ქვეყნის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია თავისი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით წარმატებით იშუშებენ ომით მიყენებულ ჭრილობებს და ახორციელებენ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების სტალინურ გეგმას.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სტალინური ხუთწლედით დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელება მოითხოვს ჩვენგან სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების კიდევ უფრო გაზრდას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, ნედლეულისა და მასალის მომჭირნეობით ხარჯვას, პროდუქციის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, სამეურნეო ორგანიზაციებში მტკიცე საფინანსო დისციპლინის დანერგვას, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

ამ ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში ამუშავდება მეტალურგიის გიგანტი — ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურები, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა და მრავალი სხვა საწარმო. გაშენდება ჩაის, ციტრუსების, ვენახის, ტუნგის, ხეხილის და მრავალი სხვა ძვირფასი კულტურების ახალი პლანტაციები.

ყოველდღიურად ფართოვდება კოლხეთის ჭაობების ამოშრობის სამუშაოები, რომლის შედეგად ეს კუთხე—სულ ახლო წარსულში მშრომელთა საშინელი მტრის მალარიის გამავრცელებელი კერა—გადაიქცევა ლიმონის, ფორთოხლის, ევკალიპტის და სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ბაღად.

დაიწყო მუშაობა სამგორის ველის მოსარწყავად წყალსაცავებისა და არხების მშენებლობისათვის, რომლებიც სახეს შეუცვლის და ვენახისა და ხეხილის ბაღნარად გახდის ჩვენი დედაქალაქის თბილისის მიდამოებს.

შენდება მრავალი სარწყავი სისტემა, საკოლმეურნეო ელექტროსადგური, მანქანა-ტრაქტორების ახალი სადგური.

ეს კი უფრო ძლიერსა და მშვენიერს გახდის ჩვენს მზიურ საბჭოთა საქართველოს.

ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი დახმარება, ამხანაგ სტალინის ყოველდღიური მზრუნველობა საბჭოთა საქართველოს აყვავებისათვის დიდ მოვალეობას გვაკისრებს ჩვენ, საქართველოს მშრომელებს.

ქართველი ხალხი მჭიდროდაა დარაზმული ლენინ-სტალინის დიადი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ღირსეულად მოიხადოს თავისი ვალი სამშობლოს წინაშე.

საქართველოს მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ ლენინგრადელთა მოწოდებას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავის შესახვედრად სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ და იკისრეს ვალდებულებანი 1947 წლის საწარმოო გეგმების 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად. ქართველმა გლეხობამ ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში იკისრა დიდი ვალდებულებანი ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

საქართველოს მშრომელები მაღალი პატრიოტული შეგნებით შეუდგნენ საქმეს და როგორც ყოველთვის, წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საქართველოს მშრომელები, აღზრდილნი ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ჩვენი სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულებენ ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახულ ამოცანებს.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

გაუმარჯოს ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს! **(ხანგრძლივი ტაში).**

დეპუტატ ვ. დ. კუპრაძის სიტყვა

(ხიდისთავის საარჩევნო ოლქი, ჩოხატაურის რაიონი)

ამხანაგო დეპუტატებო! მეოთხე სტალინურ ხუთწლედში სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს; ეს ღონისძიებანი გულისხმობენ ხალხის კეთილდღეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას და ემყარებიან ჩვენი სოციალისტური, საბჭოთა წესწყობილების იმ ძალებს, რომელთაც სამამულო ომში კაცობრიობას თავისი ტიტანური შესაძლებლობანი უჩვენეს და ახლა მშვიდობიანი ცხოვრების გიგანტური შემოქმედების მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენენ.

მეოთხე ხუთწლედში საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდი გეგმებია დასახული. რჩება რა ჩვენი მდიდარი და მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგად, დიდად განვითარდება სახალხო მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა—მძიმე მრეწველობა, შავი მეტალურგია და მანქანათმშენებლობა. ამ ისტორიულ პროცესთან ერთად გადაწყდება კულტურული მშენებლობის მრავალი ამოცანაც. მიღწეულ უნდა იქნას ხალხის საშუალო კულტურული დონის შემდგომი ამაღლება, მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი სერიოზული განვითარება. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ზოგადი განათლების სკოლის მუშაობის შემდგომ არსებით და სერიოზულ გაუმჯობესებაზე. ეს საქმე მეოთხე ხუთწლედში ჩვენი სახელმწიფოს ზრუნვის ერთ-ერთი უმთავრესი საგანია.

სახალხო განათლების შემდგომი აღმავლობისა და განმტკიცებისათვის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის მჭევრმეტყველურ საბუთს წარმოადგენს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის განსახილველად წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მეოთხე ხუთწლედის მეორე წელს სახალხო განათლების ხარჯების თვალსაჩინო ზრდას ითვალისწინებს. როგორც დეპუტატმა კვირკველიამ მოახსენა სესიას, პროექტი ითვალისწინებს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1.498.444 ათას მანეთს, აქედან საკუთრივ განათლების საქმეზე 965.515 ათას მანეთს; მარტო განათლების სამინისტროს სისტემის სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, საბავშვო ბაღებისა და საბავშვო სახლების შესანახად დაიხარჯება 591.224 ათასი მანეთი, ნაცვლად გასულ წელს დახარჯული 470.895 ათასი მანეთისა, ე. ი. 120.329 ათასი მანეთით მეტი.

ამ თანხიდან სკოლებზე დაიხარჯება 449.828 ათასი მანეთი, საბავშვო სახლებზე და ბაღებზე—77.936 ათასი მანეთი, პედსასწავლებლებზე — 18.091 ათასი მანეთი, უმაღლეს სასწავლებლებზე—45.369 ათასი მანეთი.

ამრიგად, სახალხო განათლების საჭიროება ჩვენს ქვეყანაში წელსაც, ისე როგორც წინა წლებშიც, უზრუნველყოფილია საჭირო თანხებით.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეს ყურადღება და მზრუნველობა სახალხო განათლებაზე უდიდეს მოვალეობას და პასუხისმგებლობას აკისრებს მასწავლებლობას, სახალხო განათლების ყოველ მუშაკს, განათლების სამინისტროს და მის ორგანოებს. სახალხო განათლების წინაშე სერიოზული ამოცანები დგას. საჭიროა განმტკიცდეს არსებული სკოლების მატერიალური ბაზა, მოწესრიგდეს და უკეთესად მოეწყოს სასკოლო ქსელი, ყველა სკოლაში და ყველა საგანში გვყავდეს მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგიური კადრები, ჭარბად გვქონდეს მაღალხარისხოვანი სტაბილური სახელმძღვანელოები და ყველა სხვა საჭირო სასწავლო ნივთები და მასალები.

მიმდინარე სასწავლო წელს, ჩვენს სკოლებს სწავლა-აღზრდის საქმეში სერიოზული წარმატებანი აქვს მოპოვებული. გაიზარდა მასწავლებელთა პასუხისმგებლობა სწავლების ხარისხის ამაღლების საქმეში, გაძლიერდა მოსწავლეთა ინტერესი და მისწრაფება სწავლისადმი, ცალკეული სასწავლო დისციპლინების მტკიცე დაუფლებისადმი. გამოცდებზე მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა მომზადებული მოდის, მასობრივად გვიჩვენებენ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის ნიმუშებს.

განმტკიცდა დისციპლინა. მასწავლებლისა და უფროსისადმი თავაზიანობა და მოკრძალება საყოველთაო მოვლენად იქცა მოსწავლე ახალგაზრდობაში. მოსწავლენი ახლა უკეთ უვლიან სასკოლო ქონებას, ფაქიზად ინახავენ სასწავლო ნივთებს, იცავენ ჰიგიენას.

თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლამ რაც საქართველოს სკოლებში გასული წლიდან გატარდა, მნიშვნელოვანი ცვლილებანი გამოიწვია სასწავლო გეგმებში. ამ ღონისძიებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ყველა საგნის, კერძოდ კი მშობლიური და რუსული ენების სწავლების გადაჭრით გაუმჯობესებას.

ერთი წელი მცირე დროა იმისათვის, რომ ამომწურავად შევაფასოთ ისეთი სერიოზული ცვლილების მნიშვნელობა სკოლის ცხოვრებაში, როგორიც არის სწავლის გახანგრძლივება ერთი წლით. მაგრამ ახალ პირობებში მუშაობის ამ ერთმა წელმაც დააგროვა მდიდარი მასალა გარკვეული ანალიზისა და დასკვნების გასაკეთებლად. ეს დასკვნა ასეთია: სწავლის ვადის გახანგრძლივებამ ხელი შეუწყო სასწავლო მუშაობის გაუმჯობესებას, გაიზარდა შეთვისების ხარისხი, ამაღლდა წარჩინებულ მოსწავლეთა ცოდნა-მომზადების დონე. ამის საილუსტრაციოდ დავასახელებ ზოგიერთ ციფრს.

საკმაოდ მკაცრი მოთხოვნილების პირობებში, რომლითაც ჩვენ წელს მივუდექით ოქროსა და ვერცხლის მედლებზე წარმოდგენილი კანდიდატების წერითი ნამუშევრის შეფასებას: ქართულში, რუსულში, ალგებრაში, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში, მივიღეთ 800-მდე მედლით დაჯილდოებული, სამაგალითოდ მომზადებული ბავშვი, რაც ორნახევარჯერ მეტია წინა წელს გამოშვებულ მედალოსანთა რიცხვზე.

1945 წელს საშუალო სკოლების X კლასების 13.969 მოსწავლიდან გამოცდაზე დაშვებულ იქნა 10.002 მოსწავლე ანუ 71,5 პროცენტი. სკოლა დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი მიიღო 8.635 მოსწავლემ, ე. ი. 64,7 პროცენტმა. ამრიგად, 5.334 მოსწავლე (35,3 პროცენტი) დატოვებულ იქნა იმავე კლასში.

1947 წელს კი მეთერთმეტე კლასის 11.373 მოსწავლიდან გამოცდაზე დაშვებულ იქნა 10.196 მოსწავლე (92,3 პროცენტი). აქედან გამოცდები ჩააბარა და სიმწიფის ატესტატი მიიღო 9.771 მოსწავლემ (95,8 პროცენტმა). გამოცდებზე დაშვებულთაგან ერთ საგანში ჩაიჭრა და გამოცდებზე აღარ იქნა დაშვებული 761 მოსწავლე (6,4 პროცენტი).

რა თქმა უნდა ამგვარი შედეგების მიღებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ განვლილ წელს ჩვენს სკოლებს ძირითადად ერთხელ უკვე შესწავლილ მასალაზე უხდებოდათ მუშაობა. ეს გარემოება არ უნდა დავივიწყოთ წლევანდელი შედეგების შეფასების დროს. მაგრამ სწავლების ერთი წლის მომატება თავისთავად ვერაფერს მოგვცემდა, რომ მასწავლებლობას კარგად არ ემუშავნა. მიღწეული წარმატების მთავარი წყარო არის ჩვენი მასწავლებლობის დაუღალავი, ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი მუშაობა.

სკოლისა და მასწავლებლობის, სასახელოდ და საამაყოდ უნდა ითქვას, რომ მათ პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით მოჰკიდეს ხელი ახალ პირობებში მუშაობას, დასძლიეს პირველ ხანებში შემჩნეული ნაკლოვანებანი, გააჩაღეს შრომა, რათა რაც შეიძლება მეტად და უფრო სრულად ყოფილიყო გამოყენებული ის უპირატესობანი, რომელთაც 11-წლიან სწავლებაზე გადასვლა ანიჭებდა საქართველოს სკოლებს.

სასწავლო წლის დასაწყისიდან უკანასკნელ დღემდე არ შეწყვეტილა სკოლებში დაძაბული მუშაობა, იმ შეგნებით, რომ საკითხი შეეხებოდა სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული კურსის სრულად და ღრმად შესწავლას, რომ ამ საქმეში არ შეიძლებოდა არავითარი დათმობა-შეღავათი.

მასწავლებელთა მოწინავე ნაწილი წელსაც, მსგავსად წარსული წლებისა, სისტემატურად მუშაობდა თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და პედაგოგიური ოსტატობის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენმა მასწავლებლობამ სწორად გაიგო ჟურნალ „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ გადაწყვეტილებაში დასახული ამოცანები მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის შესახებ და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა წარმართა ამ გადაწყვეტილების განუხრელად შესრულებისაკენ.

ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობის ამოცანა, რომელიც საქართველოს სკოლების წინაშე დგას ახლა, ის არის, რომ ჩვენი სკოლის კედლებში აღზრდილი ახალგაზრდობა დაეუფლოს რუსულ ენას იმდენად, რომ რუსული ლიტერატურისა და მეცნიერების უძვირფასესი განძი მისთვის თავისუფლად იყოს ხელმისაწვდომი. ჩვენმა სკოლამ ეს ამოცანა უნდა გადასწყვიტოს, რადგან უამისოდ არ გადაწყდება ძირითადი ამოცანა: მოვამზადოთ მაღალხარისხოვანი კადრები.

მეოთხე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა სერიოზული ნაბიჯი გადაგვედგა წინ სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმეში. წელს სკოლებს მივცემთ 100-ზე მეტი სახელწოდების წიგნს ორ მილიონამდე ტირაჟით.

მნიშვნელოვანი მომენტი, რომლის მოგვარებაზე დამოკიდებულია სასწავლო მუშაობის ნორმალურ პირობებში ჩაყენება, არის სკოლების გამდიდრება სასწავლო კაბინეტებითა და ლაბორატორული მოწყობილობით. ყველა ნივთი, რომელიც სწავლების თვალსაჩინოებას ემსახურება, დიდი რაოდენობით სჭირდება სკოლას. მეორე წელია ამ ნივთების წარმოებას საფუძველი ჩაეყარა ჩვენში. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მუშაობს სასკოლო ნივთებისა და ხელსაწყოს ორი სპეციალური ქარხანა, რომელნიც სერიოზულ დახმარებას უწევენ სკოლებს საჭირო ხელსაწყოს დამზადებითა და მიწოდებით. სახელმწიფო ბიუჯეტით წელს ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმისათვის გამოყოფილია 5.000.000 მანეთზე მეტი. უნდა ითქვას, რომ ადგილებზე წლების განმავლობაში აუთვისებელი რჩება ამ მიზნისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები. 1946 წელს, მაგალითად, ათვისებული იყო სახელმწიფოს მიერ ამ მიზნით ასიგნებული 4.200.000 მანეთის მხოლოდ 36 პროცენტი. ამიტომ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ეს თანხები ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადატანილიყო რესპუბლიკურ ბიუჯეტში და ამიერიდან მისი ხარჯვა იწარმოებს ცენტრალიზებული წესით. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ღონისძიებამ თავისი დადებითი შედეგი უკვე მოიტანა და 1 ივნისისათვის სკოლებმა ცენტრალიზებული წესით უკვე მიიღეს 2.469.000 მანეთის ხელსაწყო-იარაღები.

ასეთივე მდგომარეობა იყო სასკოლო ბიბლიოთეკების დარგშიც. სასკოლო ბიბლიოთეკების შესავსებად ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები ომის პერიოდში სკოლების მიერ არ ყოფილა მთლიანად ათვისებული. ბიბლიოთეკების დასაკომპლექტებლად ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები აგრეთვე გადატანილია რესპუბლიკურ ბიუჯეტში და დაიხარჯება ცენტრალიზებული წესით.

მრავალ ადგილას ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებები საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელების დარგში.

1946-47 სასწავლო წელს სკოლის ასაკის ბავშვთა სკოლებში ჩაბმის გეგმა მთლიანად არ იქნა შესრულებული. გეგმით სკოლებში უნდა გვყოლოდა 668.159 მოსწავლე, ფაქტიურად 1946 წლის 5 ოქტომბრის აღრიცხვის მიხედვით ჩვენს სკოლებში ჩაბმული იყო 626.866 მოსწავლე, ე. ი. გეგმა შესრულებულ იქნა 93,6 პროცენტით.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების დარგში არსებული ნაკლოვანებანი იმით აიხსნება, რომ განათლების განყოფილებათა გამგეები და სკოლის მუშაკები არ აწარმოებენ სერიოზულ მუშაობას სკოლის ასაკის ბავშვთა სკოლებში მთლიანად ჩაბმისათვის და არ აწესებენ კონტროლს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისადმი.

ამ საქმეში არ არიან ჩაბმული სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, სახლმმართველები. ისინი არ ახორციელებენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილებას „7-დან 17 წლამდე ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის შესახებ“, ცუდად ეხმარებიან ობოლ და ხელმოკლე ოჯახის ბავშვებს და ნაკლებად ზრუნავენ მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით ბევრ ისეთ ადგილას გაიხსნა სკოლა, სადაც არ იყო საამისო არც პირობები და არც აუცილებლობა.

ამიტომ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის სკოლების I-IV კლასებში ერთ კლასზე საშუალო დატვირთვა უდრის 13 მოსწავლეს, ხოლო V-VIII კლასებში ერთ კლასზე დატვირთვა არ აღემატება 14 მოსწავლეს; ბიუჯეტის მიხედვით კი გათვალისწინებულია კლასის დატვირთვა 30 მოსწავლით.

სასკოლო ქსელის მოწესრიგების საკითხი გადაუდებელი ამოცანაა. ჩვენი სასკოლო ქსელი უნდა გადაისინჯოს. მხედველობაში გვაქვს უმთავრესად საშუალო სკოლები.

1946-47 სასწავლო წელს სახელმძღვანელოების განაწილებისა და მოსწავლეთა უზრუნველყოფის საქმეში თვალსაჩინო დეფექტები გვქონდა. განათლების სამინისტროს განაწილების საფუძველზე „სახელგამსა“ და „ცეკავშირს“ დავალებული აქვთ სახელმძღვანელო წიგნების მიწოდება რაიონებსა და ქალაქებში. ადგილებზე ჩატარებულმა შემოწმებამ დაადასტურა, რომ აღნიშნული ორგანიზაციებისა და რკინიგზის მოუქნელი მუშაობის შედეგად, გამოცემული წიგნები თვეობით ეწყო საწყობებში და ძალზე დაგვიანებით იგზავნებოდა რაიონებში. მთავრობის მიერ მიღებულია ღონისძიებანი ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სკოლამ რომ გადასწყვიტოს მის წინაშე მდგომი ამოცანები, აუცილებელია მისი შემდგომი მატერიალური და ორგანიზაციული განმტკიცება. ამ საქმეზე ზრუნვა და მისი გადაუდებლად მოგვარება სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად ყველა საბჭოთა და პირველ რიგში ხელმძღვანელი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების უწმიდესი ვალია.

ჩვენს სკოლებს პირველ რიგში დახმარება სჭირდებათ სასკოლო შენობათა წესრიგზე მოსაყვანათ. უახლოეს დროში სავსებით განთავისუფლებულ, აღდგენილ და პირდაპირი დანიშნულებით მწყობრში ჩაყენებულ უნდა იქნას ყველა სასკოლო შენობა. ბოლო უნდა მოეღოს სკოლებში მრავალცვლიანი მეცადინეობის საზიანო პრაქტიკას.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე 2.000-ზე მეტი ახალი სასკოლო შენობა არის აგებული და ყოველწლიურად სასკოლო მშენებლობაზე დიდი თანხები იხარჯება, სასკოლო ქსელი და კონტინგენტი ისე სწრაფად იზრდება, რომ ჯერ კიდევ სკოლების დიდი ნაწილი ბინის მხრივ დიდ სივიწროვეს განიცდის.

რესპუბლიკის 4.210 სკოლიდან საკუთარი და შესაფერი შენობა აქვს მხოლოდ 2.150 სკოლას. 1.815 სკოლა მოთავსებულია საკუთარ, მაგრამ უვარგის შენობაში, ხოლო 1.130 სკოლა მოთავსებულია დაქირავებულ შენობაში. ორ ცვლად მუშაობს 2.991 სკოლა — 236.915 მოსწავლით, სამ ცვლად მუშაობს 56 სკოლა — 7.174 მოსწავლით, ამათგან 5.000-ზე მეტი დაწყებითი სკოლის მოსწავლეა. სასკოლო შენობების წესრიგზე მოყვანა გადაუდებელი ამოცანაა: სახელმწიფო ამ საქმისათვის ყოველწლიურად დიდ თანხებს ხარჯავს. შარშან მარტო რემონტისათვის გაღებული იყო 13 მილიონი მანეთი. წელს ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 18 მილიონ მანეთს. ვიღებ რა მხედველობაში სასკოლო შენობების მდგომარეობას, ვთხოვ სესიას ამ თანხის გადიდებას 4,2 მილიონი მანეთით, რაც საშუალებას მოგვცემს თვითეულ რაიონს საშუალოდ 30-35 ათასი მანეთით გავუდიდოთ სარემონტო თანხები.

მეოთხე ხუთწლედში უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი სკოლების კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით ძირითადად დაკომპლექტების საკითხი. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ყველა სკოლა არ არის უზრუნველყოფილი ასეთი კადრებით. არა მგონია, რომ რომელიმე სხვა დარგში ოსტატის კვალიფიკაციის ავკარგი ისე მკვეთრად დააჩნდეს პროდუქციის ხარისხს, როგორც სწავლა-აღზრდის საქმეში.

ამასთან დაკავშირებით პირველხარისხოვან სახელმწიფოებრივ ამოცანად რჩება მასწავლებელთა მომზადების საქმის არსებითად გაუმჯობესება და იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა გადალახვა, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენი პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების მუშაობაში.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლები ჯერ კიდევ არ იძლევიან პედაგოგიურ მომზადებას. კურსდამთავრებული ახალგაზრდა მასწავლებლები, ხშირად არ იცნობენ სასკოლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, არ შესწევთ უნარი გაერკვიონ მათს ავკარგში, არ ფლობენ გამოკითხვისა და ცოდნის შეთვისების მეთოდიკას, მოუმზადებლობას იჩენენ კლასის ხელმძღვანელის როლში, არ ეხერხებათ მოსწავლეთა კოლექტივთან სწორი, პედაგოგიური ურთიერთობის დამყარება, ბავშვთა კოლექტივის ორგანიზაცია, არ იცნობენ კლასგარეშე მუშაობასა და პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ფორმებს, მეთოდებს, შინაარსს. მშობლებთან მუშაობაზე ხომ წარმოდგენა არა აქვთ, ეშინიათ მათთან შეხვედრა და გაურბიან კიდეც ამას. თვით ცოდნა-მომზადება, რომელიც ახალგაზრდა მასწავლებელს მიუღია უმაღლეს სასწავლებელში, ზოგჯერ ნაკლებსაფუძვლიანია.

ეს იმიტომ ხდება, რომ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლები ივიწყებენ ძირითად ამოცანას, პროფესიული მომზადების ამოცანას. ცალკეული პროფესორები ზრდიან ახალგაზრდობას მასწავლებლის პროფესიისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების განწყობილებით და ზრუნავენ მხოლოდ მსმენელთა სამეცნიერო მომზადებაზე, ავიწყდებათ, რომ სწავლების მაღალი მეცნიერული დონე პედაგოგიურ სასწავლებელში განუწყვეტლივ შერწყმული უნდა იყოს სწავლების პედაგოგიურ მიზანდასახულობასთან.

ეს დეფექტები მეტად თუ ნაკლებად ახასიათებს ყველა ჩვენს უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებელს.

ჩვენი ამოცანაა — ავიყვანოთ ამ სასწავლებელში მთელი სასწავლო მუშაობა, ლექციური და პრაქტიკული მეცადინეობა მაღალ სამეცნიერო-მეთოდურ დონეზე, მოვსპოთ ლიბერალიზმის ნაშთები ცოდნის შეფასებაში, დავამყაროთ სისტემატური და გეგმიანი მუშაობის რეჟიმი, იმგვარად გარდავქმნათ სასწავლო გეგმები, რომ უზრუნველვყოთ საბჭოთა სკოლის მასწავლებლის მეთოდური და პედაგოგიური მომზადება.

საბჭოთა სკოლაში განათლების შინაარსი არ ამოიწურება მოსწავლის მარტო გონებრივი განვითარების ამოცანით, განათლება გულისხმობს აგრეთვე ადამიანის აღზრდას მთლიანად. ცოდნის შეძენის გზა სკოლაში არ წარმოადგენს მხოლოდ გონების განვითარების გზას. გონების განვითარებას ჩვენს სკოლაში თან ახლავს ნებისყოფის გამომუშავება, სოციალისტური სამშობლოსადმი უანგარო ერთგულების შეგნების აღზრდა, პატრიოტული ენთუზიაზმისა და ლენინ-სტალინის საქმისადმი მაღალი რწმენის განმტკიცება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სკოლაში სწავლა და აღზრდა ერთი მთლიანი პროცესის ორი მხარე იყოს.

სკოლა საყოველთაო სახალხო საქმეა და მისი წარმატების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ არა მარტო განათლების ორგანოებისა და მასწავლებლობის ყველა ძალების მობილიზაციას, არამედ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობისა და პირველ რიგში ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების შეუსუსტებელ ყურადღებას და დახმარებას.

სასწავლო წლისათვის მზადება, შენობის განთავისუფლება, გარემონტება და კეთილმოწყობა, სათბობის მომზადება, დგამ-ავეჯით შევსება, სკოლების კადრებით დაკომპლექტება — ყველა ეს —შეადგენს იმას, რაზედაც საბოლოო ანგარიშით მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საბჭოთა ახალთაობის სწავლა-აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესება.

მუდამ თვალწინ უნდა გვედგას ამხანაგ ლ. პ. ბერიას მუშაობისა და სკოლისათვის ზრუნვის მაგალითი, მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს ის დიდი ზრუნვა-დახმარება, რასაც სახალხო განათლების საქმისადმი იჩენს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

ეჭვი არ არის, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მთლიანად განახორციელებენ პარტიისა და მთავრობის ყველა მითითებას და გადაწყვეტილებას სკოლის შესახებ.

ჩვენს სკოლას ყველა პირობა მოუპოვება იმისათვის, რომ საუკეთესოდ მუშაობდეს. საბჭოთა სკოლა ლენინ-სტალინის გენიალურ მოძღვრებასა და მეთოდოლოგიაზე არის დაფუძნებული, ამიტომ იგი მსოფლიოში ყველა სკოლაზე მოწინავე, დემოკრატიული და სიცოცხლისუნარიანია. ჩვენში სკოლა მთელი ხალხის, მთელი სახელმწიფოს მშობლიური ზრუნვის საგანია.

მე რწმენას გამოვთქვამ, რომ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია ერთსულოვნად დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემოტანილ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს. ეს პროექტი უზრუნველყოფს მეოთხე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის ამოცანების წარმატებით შესრულებას, კერძოდ, ის ქმნის ახალ შესაძლებლობას ჩვენი სახალხო განათლების წინსვლისა და შემდგომი წარმატებისათვის.

გაუმარჯოს საქართველოს ხალხის საყვარელ შვილს ამხანაგ ლავრენტი ბერიას!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, ჩვენი დიადი გამარჯვებების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს დიდ სტალინს! **(მქუხარე ტაში).**

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110,000

უე 10854